სამტრედიის მაცნე

გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

N5 (9292) 20 თებერვალი. 2019 წელი ფასი 50 თეთრი

ადმინისტრაციული სახლის რეაბილიტაცია ზემოდან დაიწყო

ყუნჩიოლის ფუნდამენტზე მიწოლილია

3

2

ჯასფხისმგეზელობა ფეფელრასეას და შერეას განსხვავებულად ვსმით

5

სამტრედიელმა პატარებმა ცხენს გემო ბავშვობიდანვე გაუგეს

გაახლებული ძველი ამბავი დაუკარგავი აქტუალობით

მგელმა თქვა - მშიაო!!!

მე, შენ, ჩვენ ერთმანეთისთვის და საერთოდ ყველოსთვის!

აქედან სულ სხვანაირად მოსჩანს გელათი

6

3 სამტრედიელი ფალავანი ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონია!

"ჩეგიონში მედია ახის ის საშუალება..."

მაია ცქიტიშვილი დასავლეთ საქართველოს რეგიონულ მედიას შეხვდა

4

რუსთველი ჩვენი თანამედროვე ზეროვნების ანალოგზრდობაა

8

მივიწყებული წარსული საიდუმლო

9

"ახიან მასნავლებლები, ჩომლებიც ასნავლიან მასნავლებლებსაც"



860 ათასი ლარი საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურისათვის

ქეთევან ჭელიძე

საკითხზე სწრაფი რეაგირების გამო, მუნიციპალიტეტის მერმა, ვალერიანე ფოცხვერიამ, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო თავის სამუშაო კაბინეტში დაჩქარებული წესით მიიწვია. საქმე საქართველოს განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებას ეხება, რაც ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ სასწავლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურული სამუშაოებით უზრუნველყოფას ითვალისწინებს. კონკრეტულად, პირველ ეტაპზე სამინისტრომ 430 ათასი ლარი გამოჰყო, რომელიც საჯარო სკოლებში სველი წერტილების მოწესრიგებასა და საჭიროების შემთხვევაში შენობების გადახურვისთვის დაიხარჯება. დაპირებისამებრ თანხა გაორმაგდება, თუმცა საკმარისი არც ეს იქნება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ 35 საჯარო სკოლას პრობლემები გადაუწყვიტოს.

ვალერიანე ფოცხვერიას განცხადებით: "ეს პირველი შემთხვევაა, როცა განათლების სამინისტრო ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულებას ჩვენ გვავალებს. დეცენტრალიზაციის პრინციპიდან გამომდინარე ადგილობრივ თვითმმართველობებს მეტ უფლებებს აძლევენ. უკეთესი იქნებოდა, ჩვენთვის მართვის სისტემა გადმოეცათ და ეს იქაც დავფიქსირე, მაგრამ ამის უფლებას თვითონ იტოვებენ. გადაწყვეტილება მიღებულია და ალტერნატივა არ აქვს. ამიტომ მჭირდება თქვენი რჩევა და თანხაც სამართლიანად გავანაწილოთ".

შეხვედრაზე გარკვეული მსჯელობის შემდეგ გადაწყდა, შეიქმნას კომისია, რომელშიც მრჩეველთა საბჭოს წევრების გარდა მერიის სამსახურებისა და მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წარმომადგენლები, აგრეთვე, საჯარო სკოლების დირექტორები შევლენ. კომისიას მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, დავით ბახტაძე უხელმძღვანელებს.

უკვე დაიწყო ქალაქში არსებული საჯარო სკოლების დათვალიერება და მათ პრობლემებზე აქცენტის გაკეთება. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სამსახური უკვე მუშაობს და მალე ტენდერი 860 ათასი ლარის ღირებულების პროექტზე გამოცხადდება.

ჰასფხისმგებლობა ფედერაციას და მერიას გასხვავებულად ესმით

თეა ბაბუნაშვილი

რამდენი დარჩა მანამდე, სანამ კარში გოლი გავა, დაზუსტებით ვერ გეტყვით. თვით მუნიციპალიტეტის მერი გვარწმუნებს, ცოტაო. უკვე მნიშვნელობა არ აქვს, ვის კარში გავა, ოღონდ გავიდეს! საკუთარ კარში გოლის მიღებას მიეჩვია სამტრედიელი ფეხბურთის ფლაგმანი. ამხელა დაფინანსება და ყურადღება სულ წყალში ჩაგვიყარესო, ავერ-ეგერ დამალულად სწუხან ისინი, ის დაფინანსება "კბილებით რომ გაიტანეს". თუმცა, კბილებით გატანაც რად უნდოდა, ვიცით, რაც და როგორც!...

ამ წერილის ავტორს ერთხელ უკვე დაუქნიეს თითი, ფეხბურთზე "უბედურად" და "უკუღმა" ნუ წერო. უკუღმა დაწერილს წაღმა წაკითხვით ეშველება და ამ ერთხელ მაპატიეთ, ბატონებო, საწერად ფეხბურთის ფედერაციამ ამდერდა, თორემ სულ არ ვაპირებდი... მეტს აღარ დავწერ, მით უმეტეს, ადგილობრივი ბიუჯეტი ახლა არა უშუალოდ საფეხბურთო გუნდს, არამედ საფეხბურთო სტადიონის აღდგენა-რეკონსტრუქციას აფინანსებს

სოლიდური თანხით. ეს სხვადასხვაა და მუნიციპალიტეტისთვის წინგადადგმული ნაბიჯია! ადგილობრივ მედიას მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ენთუზიაზმიც ახსოვს საფეხბურთო სტადიონზე სარემონტო სამუშაოების დაწყებისას. მასზე ეროვნულ ლიგაში დასაშვები ნორმების დასაკმაყოფილებლად ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოებისთვის 200 ათასი ლარი გამოიყო. მით უმეტეს, რომ მუნიციპალიტეტის მერიცა და მისი მოადგილეც ამ სამუშაოებს არა მხოლოდ გულშემატკივრისა და მოყვარულის, ყოფილი ფეხბურთელების ამპლუაშიც გულმოდგინედ ქომაგობენ. დიდი ფეხბურთიდან წასული მაღალი რანგის მოთამაშეც არ აკლია სამტრედიას ხელისუფლებაში. ასე რომ, როგორც ადგილობრივი ბიუჯეტიდან მსუყე ლუკმით დაფინანსებისას ამბობდნენ, ფეხბურთი სამტრედიაში პრიორიტეტია. ბუნებრივია, პრიორიტეტია სტადიონიც!

როგორც ჩანს, ასე მხოლოდ სამტრედიელები ვფიქრობთ. ამ აზრზე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი სულაც არ ყოფილა, მეტიც, ინტერნეტ-მედიაში რამდენიმე დღის წინ გავრცელებული ინფორმაციით, იგი სამტრედიის ხელისუფლებას საქმეზე პასუხისმგებლობით მოკიდებას სთხოვს. "გვიჭირს, სამტრედიის გამგეობას მათი პასუხისმგებლობა გავაგებინოთ. მე იქ ჩართულობა არ მინახავს. ჩვენ გვჭირდება ადგილობრივი გულშემატკივრისა და თქვენი, ჟურნალისტების ხმა, რათა მიხვდნენ საკუთარ პასუხისმგებლობას." _ აცხადებს კობიაშვილი. ინფორმაცია "adjarasport"-ზე 13 თებერვალს დაიდო.

იმ ცნობილი ქართული ფილმისა არ იყო, მეისრეს, ალბათ, ისრები აერია, სადღაც სამტრედიასთანო, სტადიონზე მიმდინარე სამუშაოებს თუ გავითვალისწინებთ, პასუხისმგებლობითა და მერე როგორი პასუხისმგებლობით მიმდინარეობს. 2 მარტისთვის, ანუ ჩემპიონთა ლიგის დაწყებისთვის, ბურთიც და მოედანიც სრულ მზადყოფნაში იქნება პირველი თამაშის გასამართად. აქედან გამომდინარე, კობიაშვილის განცხადება გაუგებარი აღმოჩნდა მუნიციპალიტეტის მერისთვის. მან ამ ბრალდებას უპასუხა: "თქვენ თვალყურს ადევნებთ და იცით, რომ სამტრედიის ხელისუფლება ყოველთვის ფეხბურთისა და ფეხბურთელების გვერდითაა. რაც შეეხება ამ საკითხს, ნამდვილად ვერ გეტყვით, რა პასუხისმგებლობის თავიდან არიდება იგულისხმება ამ განცხადებაში, სტადიონი სეზონის დასაწყებად მზად იქნება. რაც შეეხება დიდ ტრიბუნას, პროექტი მზად არის და მიმდინარეობს მისი გადამოწმება მონიტორინგის სამსახურში."

რეაბილიტირებული საფეხბურთო სტადიონი ყველა საჭირო ნორმის შესაბამისი იქნება და როგორც პასუხისმგებელი პირები სრული პასუხისმგებლობით აცხადებენ, რამდენიმე დღეში ყველაფერი სისრულეში იქნება მოყვანილი. რაც შეეხება ჟურნალისტებისა და გულშემატკივრების ხმას, ჩვენს შემთხვევაში იგი ერთნაირად ეკუთვნის ადგილობრივ ხელისუფლებასაც და ფეხბურთის ფედერაციასაც. და რადგან ტრიბუნებიდან მეტი ჩანს, ჟურნალისტებსაც და გულშემატკივრებსაც სათქმელი ორივე მხარისთვის მეტი აქვთ.

სახელოვანი 41

ჩვენი მამულის საამაყო შვილო, ჩვენო კახი! დიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს და 41 წლის შესრულებას. თარიღს, ასე სიმბოლური და განსაკუთრებული რომ არის იმ პოლიტიკური ძალისთვისაც, რომლის იდეალებსაც ასე ერთგულად ემსახურები! როგორ შეგვიძლია, კეთილი სურვილები დავიშუროთ შენნაირი ადამიანის, პიროვნების მიმართ, რომელიც ასე იღვწი და იხარჯები ქვეყნისათვის, საზოგადოების უმაღლესი იდეალებისათვის. შენი ბავშვობის ნატერფალები, სიყრმისა და ახალგაზდრობის ყველა ბილიკი გაჯერებულია დიდი სიკეთით, სიყვარულითა და სინათლით. შენ არასოდეს გივლია იოლი და მარტივი გზებით, ყველაფერს უდიდესი ნიჭიერებით, შრომისმოყვარეობითა და მიზანდასახულობით მიაღწიე. ამიტომაც ხარ ასე სამაგალითო და მისაბაძი ყველა ქართველი ბიჭისათვის, ვინც, არა მარტო დიდ ფეხბურთზე ოცნებობს, არამედ _ საკუთარი შესაძლებლობების მოსინჯვაზე, ცხოვრებაში თვითდამკვიდრებასა და საქმეყნო სამსახურზე.

იცი, ყველაზე მეტად რა მოგვწონს შენში? ის, რომ არასოდეს გაგირჩევია შენს გულში სამტრედიელი თუ თბილისელი, სოფლელი თუ ქალაქელი. შენ სრულიად საქართველოს შვილად მიიჩნევ თავს. ერთიანი, განუყოფელი ქვეყნის ერთგული და მსახური ხარ, კლანურ-პროვინციული მენტალიტეტი უცხოა შენნაირი პატრიოტისათვის. დედაქალაქის მერი იქნები თუ რომელიმე პატარა სოფლის ბინადარი, თუნდაც, პატარა ქალაქის _ სამტრედიის მკვიდრი _ შენ ყოველთვის მოიაზრები, როგორც დედა-საქართველოს ულირსეულესი მოქალაქე. ადამიანი, რომლის ცნობიერება და საქმეც აღსავსეა უმაღლესი ფასეულობებით. ფართო საზოგადოებამ არ იცის შენი ჩუმი სიკეთის შესახებ, რამდენს ეხმარები და გვერდით უდგახარ ჭირსა და სიხარულში, რამდენი გაჭირვებული, სასომიხდილი თანამემამულის უკანასკნელი იმედი და ნუგეში ხარ, ეს არც ტელეკამერებმა იციან და არც აქციებზე მაღალფარდოვანი სიტყვებით გამოსულმა ორატორებმა, ეს მხოლოდ უბრალო ხალხმა უწყის. და, აბა, როგორ იქნებოდი შენ კახი კალაძე, საკუთარ ქველმოქმედებასა და ჩუმჩუმად გაცემულ ადამიანურ სიყვარულზე ხმამაღლა რომ გელაპარაკა, პოლიტიკურ ოპონენტთთა გასაგონად! სიკეთე და კაცთმოყვარეობა შენშია, შენს პიროვნებასა და გენში, ის მუდამ თან გახლავს, და, დარწმუნებული ვარ, მუდამ ასე იქნება. უკვე ძალიან ბევრმა დაინახა, რომ თბილისს შენი სახით ერთგული და დედაქალაქის მომავალზე გულწრფელად მზრუნველი მერი ჰყავს, მოაზროვნე ახალგაზრდა კაცი, რომელიც უშურველად იღვწის მისი არქიტექტურული სახის შესანარჩუნებლად, ეკონომიკური თუ სოციალური პრობლემების გადასაჭრელად, მოსახლეობის კეთილდღეობისა და ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად. მჯერა, ბევრს მიაღწევ და შენ მიმართ ყველაზე კრიტიკულად განწყობილ მოწინააღმდეგეებსაც კი დაარწმუნებ შენს გულწრფელ მამულიშვილობაში.

ღმერთმა დაგლოცოს შენს არაჩვეულებრივ, ულამაზეს ოჯახთან და ყველა თანამოაზრესთან ერთად! დაე, შენი ყოველი დაბადების დღე _ 27 თებერვალი _ კეთილად, ღირსეულად განვლილი ყოველი წლის ანგარიშგება ყოფილიყოს შენი ხალხის წინაშე! ყველას დაენახოს შენი დიდი გულისა და ნათელი გონების ნამუშაკევი, შენი დიდებული გეგმა-პროექტების აღსრულებული შედეგები! ბედნიერი იყავი მარად და მარად! იდღეგრძელე, იხარე და იკარგკაცე!

კეთილი სიტყვები მართლაც ალალია,
შენი საქმეები გულსაც გაგვიმთელებს,
ღმერთი დაიფარავს ასეთ ადამიანს.
მრავალ გაჩენის დღეს კიდევ გაგითენებს.
შენი საზრუნავი შენი ხალხია და,
ღმერთმა დაგლოცოს ყველა ნატერფალი.
საშენო ვარსკვლავი ცაში ანთია და კახი!
კიდევ მრავალ ამ დღეს დაესწარი.
გვეამყები რომ გვყავხარ და გქვია ქართველი!

გულწრფელად შენზე მლოცველი და შენი დიდი საქმეების მოკრძალებული წარმოადგენელი ირინა ალადაშვილი

ადმინისტრაციული სახლის რეაბილიტაცია ზემოდან დაინყო

თეა ბაბუნაშვილი

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-40-იან წლებში აშენებულ შენობას, რომელსაც შედარებით ახალი ფლიგელი 1970-იან წლებში მიამატეს და სადაც ათადან და ბაბადან ყველა ხელისუფლება იჯდა, რაც კი საქართველოს ჰყოლია, ჯერ ისევ კომუნისტების დროს გაკეთებული რემონტი აქვს შერჩენილი. პერიოდულად რამდენადმე ალამაზებდნენ ოლღა ბებიას ფაქიზოსავით, მაგრამ ამ მრავლის მნახველ-მოსმენილ კედლებს კიდევ უფრო მეტის სანახავ-მოსასმენად ძალის მოკრება კაპიტალურად სჭირდება. ჩვენში დარჩეს და მის ერთ ფლიგელში ყოველდღიურად მოწმეები ვართ, როგორ ირყევა კედელი ოთახის კარის გაღება-დაკეტვისას. და სანამ ისიც გამახსენდება, სიძველისგან ჭერის ჩამონგრევა ლამის თავად რომ დამბრალდა... თუმცა, ამის გახსენება აღარ ღირს, ისე, მაშინაც და ახლაც ის გამომცემლობა მომაგონდა, "ცისფერი მთების" დასალაშქრად მიწისქვეშა მივლინება რომ გამოწერეს!

რა ხანია გვპირდებიან და 2019-მა წელმა სიტყვა საქმედ აქცია. მერიის შენობის მეოთხე სართულიდან დაიწყო და როგორც მუნიციპალიტეტის მერი გვეუბნება, ბოლომდე დასრულდება შენობის რეაბილიტაცია. ბუნებრივია, ეტაპობრივად და ვიწყებთ ზემოდან!

ინფრასტრუქტურის სამსახურის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ოთარ თევზაძე აცხადებს, "დაიწყო სარეაბილიტაციო სამუშაოები მერიის მეოთხე სართულზე მდებარე ფოიეს, სააქტო დარბაზის, მისაღებისა და თანაშემწის ოთახისა. ხარჯთაღრიცხვით 27 ათასი ლარი იყო გამოყოფილი, მაგრამ ტენდერის მეშვეობით ინდმეწარმე სოსო გოგიას ორგანიზაციამ თანხა 23 ათას ლარამდე შეამცირა. როგორც დარბაზში, ისე ფოიეში ჭერი მოპირკეთდება ამსტრონგის ფილებით. ფოიეს კედლები შეიღებება, დარბაზში კი გაიკვრება შპალერი. სააქტო დარბაზში ამაღლებული ადგილი მოიშალა, ამიერიდან იატაკი ყველგან ერთნაირი იქნება. იგი მოიხვეწება და გაილაქება. ხის ძველი ვიტრაჟები უკვე შეიცვალა მეტალოპლასტმასით. სამუშაოები მარტის დასაწყისისთვის დასრულდება."

მუნიციპალიტეტის მერის, ვალერიანე ფოცხვერიას დამოკიდებულება ამ საკითხზე განსაკუთრებით საიმედოა, რადგან ადმინისტრაციულ სახლს შეფარებულმა და ზოგადად, სამტრედიის საზოგადოებამ, საქმეზე შემოსვლისას ყოველთვის რომ უკვირთ, სად ზიხართო, სწორედ მუნიციპალიტეტის მერისგან მიიღო დაპირება, რომ: "შენობა მთლიანად ამორტიზებულია და მისი ერთიანად განახლება სოლიდურ თანხებს მოითხოვს. ამიტომ, ეტაპობრივად, მაგრამ კაპიტალურად გარემონტდება იგი. პრიორიტეტი იმ ფლიგელსა და ოთახებს ექნებათ, სადაც განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა."

ჩვენ კი რეაბილიტირებულ ადმინისტრაციულ სახლში შესვლამდე გემშვიდობებით. მართალია, ამას ცოტა დაგვიანდება, მაგრამ მაინც ასე დამშვიდობება სჯობს, სტიმულის მომცემია ჩვენთვისაც, მკითხველისთვისაც და სამუშაოების დამფინანსებლისთვისაც.

და კიდევ ერთი, თვით მუნიციპალიტეტის მერისგან მივიღეთ დაპირება, რომ იმ ფლიგელს, ჯერ კიდევ "წინსვლის" პერიოდში ჩვენი გაზეთის რეალიზაციისგან შემოსული თანხით რომ არის აგებული, ბოლოსთვის არ მოიტოვებს, თუ თავში არა, სადღაც შუაში "ჩასვამს". არადა, ტკეჩის კედლები მართლა ირყევა და ვინძლო, ეს გამომცემლობაც, ყანჩელის უკვდავ მელოდიაზე "გრელანდიასავით" გასატანი არ გახდეს, თორემ მერე მტკიცება, რომ ომამდე ტანკისტები ვიყავით, გვიან იქნება.

ამჯერად დაბლა გომში

შედგა მუნიციპალიტეტის მერისა და მოსახლეობის შეხვედრა სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტული საკითხების გამოსაკვეთად.

ამინდი ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა და დაბლა გომელებსაც შეხვედრის ადგილად სოფლის ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი, სკოლის მიმდებარე ტერიტორია აერჩიათ.

მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი გომში ზაზა ნიკოლეიშვილი შეკრებილთ მიესალმა და მერის სტუმრობის მიზეზი გააცნო. სასმელი წყლით სოფლის მოსახლეობის უზრუნველყოფა, უგზოობა, სასაფლაოს შემორაგვა _ აი, ძირითადი საკითხები, რომელთა გადაჭრისათვის მერს მოსახლეობამ დახმარება სთხოვა.

აუცილებელია ითქვას, რომ მუნიციპალიტეტის მერს თავბრუდამხვევი დაპირებების კორიანტელი არ დაუყენებია, გომელებს ის შეჰპირდა, რისი გაკეთებაც ამჯერად რეალურადაა შესაძლებელი. გადაწყდა, რომ დაბლა გომში ამჯერად სოფლის სასაფლაო შემოირაგვება და მოწესრიგდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან მისასვლელი გზა. არის სხვა პროექტებიც, რომლითაც გზებსაც მივხედავთ და წყალგაყვანილობასაც. _ დაჰპირდა მერი დაბლა გომელებს.

ბაშის, დიდი ჯიხაიშისა და იანეთისაგან განსხვავებით, დაბლა გომში მერისა და ხელისუფლების მისამართით სამადლობელიც მოვისმინეთ, ამ ჯერზე გომის საბავშვო ბაღის აღმზრდელებმა უთხრეს მერს მადლობა მათდამი და აღსაზრდელებისადმი ყურადღებისა და მზრუნველობისათვის.

ერთი საკითხიც, ამ ბოლო ხანებში მოსახლეობასთან შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის თავკაცს 4 ლოკაციაზე ვახლდით და ჩვენდა საოცრად, არც ერთ სოფელში არ გაჟღერებულა ინიციატივა მოსახლეობისაგან იმ საკითხების მოსაგვარებლად და მოსაწესრიგებლად, რაც თავადაც შეუძლიათ. არადა, ჩვენს მიერ მონახულებულ ყველა სოფელში ერთნაირადაა მოსაწესრიგებელი სოფლის ცენტრალური ადგილები, საწრეტი არხები, არც ის იქნება ურიგო, მოახლოებულ გზაფხულზე თუ სოფლის გამწვანებისათვის გაირჯებიან.

ნაყოფიერი და საქმიანი, ასე შეიძლება შეჯამდეს დაბლა გომში 12 თებერვალს მუნიციპალიტეტის მერის ვოიაჟი.

ლევან გაბეჩავა

მგელმა თქვა, მშიაო!!!

არა, არავის გაუგონია, შეაწუხა თუ არა შიმშილმა და თქვა თუ არა მშიაო, მაგრამ მგელი რომ სამგლოდ დადის სოფელ-ქალაქში, ამერ-იმერში, უკვე არავინ უარყოფს და... რბილად რომ ვთქვათ, დამაფიქრებელია.

მედიის საშუალებით ცნობილია, რომ მგელთა თარეშს ერთნაირად ჰყავს შეწუხებული საქართველოს მთელი რიგი ქალაქებისა და რაიონების მოსახლეობა.

ლამის მასობრივი ხასიათი მიიღო მგლების მიერ მსხვილფეხა და წვრილფეხა შინაური ცხოველების დაკბენა-დაგლეჯვის ამაზრზენმა ფაქტებმა.

ღმერთის წყალობით, ჯერჯერობით, სამტრედიაში არ დაფიქსირებულა მტაცებლების მიერ ადამიანზე თავდასხმის ფაქტი, მაგრამ, რაკიღა (მგლებთან არც ერთ დონეზე არ იქნება შეღავათიანი "მოლაპარაკება") მგელი მგელია, არავინ ვიცით, რას მოიმოქმედებს, როგორ მოიქცევა, მტაცებელი ცხოველის მაგიერ ადამიანი რომ შეხვდეს!

იარაღის ტარება აკრძალულია.

აკრძალულია მგლის მოკვლაც.

საკითხავია ერთიც, აკრძალული რომ არ იყოს, მოსახლეობის რა რაოდენობას (რამდენ პროცენტს) აქვს იარაღი და მისი ტარების, მოხმარების შესაძლებლობა?

რა ჰქნან ბავშვებმა, მოხუცებმა? მათ, ვინც სოფელში ან სოფლების განაპირას ცხოვრობს და იქ გასაგები მიზეზების გამო მეტია მგლების თავდასხმის ალბათობა?

როცა ჩვეულებრივი მგელი საათში 55-62 კმ სიჩქარით მოძრაობს, ვინ მოგვცემს გარანტიას, რომ მტაცებელი, რომელიც გუშინ, იმის წინ ბაღდადში, წყალტუბოში (მაგალითისთვის) ნახეს, დღეს აქ, სამტრედიაში არ მოგვინახულებს და არ გაგვკრავს კბილს?

საშური საქმეა, ცენტრალურმა ხელისუფლებამ იზრუნოს და გადადგას ქმედითი ღონისძიებები მოსალოდნელი უბედურების თავიდან ასაცილებლად.

წერილი დასაბეჭდად იყო მზად, როცა შევიტყვეთ, რომ სოფელ ეწერში მგელმა ცხენი დაჭამა!!!

ლევან გაბეჩავა

"ჰეგიონში მედია ახის ის საშუალება..."

მაია ცქიტიშვილი დასავლეთ საქართველოს რეგიონულ მედიას შეხვდა

ნინო ნანიტაშვილი

სამინისტროს მიერ 2018 წელს განხორციელებულ მნიშვნელოვან პროექტებზე, 2019 წლის გეგმებსა და ამოცანებზე საუბარს მიეძღვნა 14 და 15 თებერვალს ქობულეთში გამართული შეხვედრა, სადაც საქართველოს ვიცე-პრემიერმა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, მაია ცქიტიშვილმა, დასავლეთ საქართველოს რეგიონული მედიის წარმომადგენლებს დეტალურად გააცნო 2019-2025 წლების დეცენტრალიზაციის სტრატეგია.

მაია ცქიტიშვილი, საქართველოს ვიცე-პრემიერი: "დღეს გვქონდა საშუალება, რეგიონული მედიის წარმომადგენლებისთვის მიგვეწოდებინა ინფორმაცია დეცენტრალიზაციის პროცესთან დაკავშირებით. 2018 წლის განმავლობაში ინფრასტრუქტურის სამინისტროს კოორდინაციით, ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობით, მომზადდა 2019-2020 წლების დეცენტრალიზაციის სტრატეგია და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება სამ ძირითად პრინციპს: ადგილობრივი თვითმმართველობების უფლებამოსილების ზრდას, თვითმმართველობების მატერიალურ და ფინანსურ გაძლიერებას და კარგ მმართველობას, რაც ასევე გულისხმობს სანდო, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულ მმართველობას".

მედიასთან საუბარი შეეხო საგზაო ინფრასტრუქტურაში მიმდინარე პროექტებს, ასევე წყალმომარაგება-წყალარინების სფეროში არსებულ მდგომარეობას, მთის განვითარების სტრატეგიას და პრიორიტეტებს, მუნიციპალური ნაგავსაყრელის მიმდინარე პროექტებს და პირველი რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობასთან დაკავშირებულ პრობლემებს და მნიშვნელობას.

დასავლეთ საქართველოს რეგიონულ მედიასთან შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. ჟურნალისტების შეკითხვებს ვიცე-პრემიერთან ერთად მინისტრის მოადგილეები და საქვეუწყებო კომპანიების ხელმძღვანელები პასუხობდნენ.

"საკმაოდ საინტერესო და ნაყოფიერი შეხვედრა იყო. უწყების პირველი პირი მოადგილეებთან და სიპების ხელმძღვანელებთან ერთად შეხვდა რეგიონში მომუშავე მედიის წარმომადგენლებს, რომლებმაც ყველაზე უკეთ იციან, რა პრობლემებია მათ რეგიონში. გვქონდა საშუალება, დაგვესვა ყველა შეკითხვა და მიგვეღო ყველა პასუხი. ასევე იყო საუბარი სამომავლო ქმედებებთან და თანამშრომლობასთან დაკავშირებით. რაც მთავარია, იყო დაპირება, რომ მსგავსი ფორმატის შეხვედრები იქნება მომავალშიც, რაც, ვფიქრობ, რომ აუცილებელია, როგორც მედიისთვის, ისე სამინისტროსთვის და მოსახლეობისთვის. რეგიონში მედია არის ის საშუალება, რომელიც ხალხს აწვდის იმ ინფორმაციას, რაც ხდება ადგილზე და საჭირო, გვქონდეს უწყებიდან პასუხები და ამომწურავი ინფორმაცია". _ აღნიშნა "გურია ნიუსის" წარმომადგენელმა ნატო გოგელიამ.

სამინისტროს მენეჯმენტმა უშუალოდ რეგიონული მედიის წარმომადგენლებისგან მოისმინა კონკრეტული პრობლემების შესახებ.

აკადემიკოს ბენედიქტე ბალავაძის საიუბილეოდ

სიკვდილი სჯსე პოემბერაზი მეცნიერი

ლევან გაბეჩავა

ლამის 150 წლის სამტრედიას კანონიერად შეუძლია იამაყოს იმ დირსეულ ცნობილ ადამიანთა გვარ-სახელებითა და ნაღვაწით, არა მარტო სამტრედიას, საქართველოსაც შორს რომ გაუთქვეს სახელი და სიცოცხლეშივე გახდნენ ცნობილები, აღიარებულები.

ყველა ქალაქს, სოფელს თავისი ლამაზი ისტორია აქვს, ისტორიას კი ადამიანები ქმნიან.

სოფელი ღანირი გამორჩეულია ამ მხრივ.

დღეს იმ აღიარებული მეცნიერის ღვაწლზე ვისაუბრებთ, რომლის აკვანიც ღანირში დაირწა და საერთაშორისო რეზონანსის მქონე გამოკვლევებით გაცილებით მეტი შეძლო, ვიდრე ერთ კაცს ძალუძდა.

სოფელ ღანირში, კონსტანტინე ბალავაძისა და სოფიო ჩიმაკაძის ოჯახში დაიბადა ბატონი ბენედიქტე ბალავაძე. დაწყებითი განათლება მშობლიურ სოფელში მიიღო. შემდეგ კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი დაამთავრა და მივლინებულ იქნა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ახლად დაარსებულ ლენინგრადის სეისმოლოგიის ინსტიტუტში.

1933 წელს, ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, ბენედიქტე ბალავაძე საქართველოში ბრუნდება და აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილთან, ქართული მეცნიერების სხვა კორიფეებთან ერთად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან აყალიბებს გეოფიზიკის ინსტიტუტს. ბატონმა ბენედიქტე ბალავაძემ განუზომელი წვლილი შეიტანა ამ ინსტიტუტის მეცნიერული სიმძლავრეების საყოველთაო ცნობადობის საქმეში და ქართული გეოფიზიკური სამეცნიერო სკოლა ცნობადი გახადა არა მარტო მაშინდელ საბჭოთა კავშირში, არამედ მსოფლიოში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1967 წლიდან) და მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (1974 წლიდან) ბატონი ბენედიქტე ბალავაძე საერთაშორისო დონის მეცნიერი გახლდათ. წლების მანძილზე იყო იგი ევროპის ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიების მრავალმხრივი თანამშრომლობის "პლანეტარული გეოფიზიკური გამოკვლევები" (კოდ) კომისიის წარმომადგენელი ყოფილი საბჭოთა კავშირიდან. საბჭოთა კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის დედამიწის წიაღის შესწავლისა და ზეღრმა ბურღვის პრობლემური საბჭოს წევრი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის, გეოფიზიკისა და გეოქიმიის განყოფილების დედამიწის ქერქისა და ზედამანტიის კომპლექსური შესწავლის საბჭოს კავკასიის სექციის თავმჯდომარე და ა. შ.

ცალკე უნდა ითქვას იმ თბილ, საქმიან კონტაქტებზე, ბატონ ბენოს რომ აკავშირებდა ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში მშობლიურ სამტრედიასთან და ღანირთან. იგი, ისევე, როგორც ბატონი აკაკი შანიძე, ერთ-ერთი პირველი ეხმაურებოდა სამტრედიელი მკლამოუღლელი მუშათა კლასისა და ინტელიგენციის ყველა სასიკეთო წამოწყებას, მიღწევებს და გულით ხარობდა ამით. ბატონმა ბენომ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა თავის დროზე ღანირის საშუალო სკოლის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვის საქმეში. ცნობილია, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებში ღანირის სკოლას შეფობას გეოფიზიკის ინსტიტუტი უწევდა, ამ სამეცნიერო დაწესებულების სულისჩამდგმელისა და ხელმძღვანელის, ბენედიქტე ბალავაძის კეთილი ნებითა და სურვილით. არც სოფელი და სკოლა იყო გულგრილი ღირსეული, დამაშვრალი მეცნიერის გულუხვობის მიმართ. ლამის 90 წლის "სამტრედიის მაცნე" და მისი ფოტოარქივი უხვად ინახავს სოფელ ღანირში ბატონ ბენედიქტეს სტუმრობის ამსახველ უკვე ისტორიად ქცეულ დოკუმენტურ და ფოტომასალას.

...

10 წლის წინ, როცა ბატონი ბენედიქტე 100 წლისა გახდა. "სამტრედიის მაცნემ" ამ ფაქტს საკმაოდ ვრცელი წერილი მიუძღვნა, უზომოდ გახარებია საუკუნის დამჯაბნელ ნათელი გონების მეცნიერს ყოველივე და... სამადლობელი აფრინა გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქციისა და რაიონის მაშინდელი ხელისუფლების სახელზე.

2010 წელს 101 წლისა გარდაიცვალა ბატონი ბენედიქტე ბალავაძე, კაცი, რომლის ხანგრძლივი ცხოვრება ჩინებული მაგალითი იყო იმისა, თუ როგორი რუდუნებითა და ჩუმად უნდა იღვაწოს ადამიანმა, მეცნიერმა.

მეისტორიე გვერდს ვერ აუქცევს აკადემიკოს ბენო ბალავაძის მრავალმხრივ მოღვაწეობას, უკვდავი იქნება სამარადჟამოდ მისი სახელი, ქველი საქმეები ღანირელებისა და სამტრედიელებისათვის.

110 წელი სრულდება ამ დღეებში მეცნიერის დაბადებიდან.

სურათზე, რომელიც ჩვენი გაზეთის ფოტოკორესპონდენტის, ბატონ რომან ბექაიას მიერ, გასული საუკუნის 80-იან წლებშია გადაღებული, აღბეჭდილია ბატონების, ბენედიქტე და ვახტანგ ბალავაძეების მშობლიურ ღანირში ერთ-ერთი სტუმრობის მომენტი. მარჯვნიდან პირველი ბენედიქტე ბალავაძე.

გვახსოვდეს თებერვალი, ბრძოლები გმირული!

"და წყევლა იმას, ვინც მაღრიბის ველურ ყაჩაღებს, გაუღო კარი თერგდალეულ დარიალისა!"

ი. გრიგოლელი

26 თებერვალს (1921 წ.) საქართველოს გასაბჭოების მეორე დღეს თბილისის მოსახლეობამ ღონისძიებები მოაწყო. რუსთაველის პროსპექტზე დიდი სამგლოვიარო ბაირაღები, დროშები მიუძღვოდა დაღუპულ ჭაბუკთა შავ კუბოებს, რომელთა უკან ნელი ნაბიჯით დამწუხრებული ხალხი მოაბიჯებდა. საოცარ მწუხარებას უდიდესი პროტესტის გრძნობაც თან ახლდა.

"ეს სანახაობა იმდენად ტრაგიკული იყო, რომ გაოცებასთან შეერთებულ მოკრძალების გრძნობას იწვევდა კომუნისტებისა და წითელარმიელთა რიგებშიც. ქალაქის ახალ ადმინისტრაციას აზრადაც არ მოსვლია, ამ პროცესისათვის ხელი შეეშალა". _ იხსენებდა თებერვლის ტრაგიკული დღეების უშუალო მნახველი და მონაწილე გერონტი ქიქოძე.

დღევანდელი პარლამენტის შენობის ქვეშ ჰპოვეს განსასვენებელი კოჯორ-ტაბახმელასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში დაღუპულმა 20 წლის მარიამ (მარო) მაყაშვილმა და იუნკერებმა.

განსაკუთრებულია ქვეყნის წინაშე იმ 120-მდე ახალგაზრდის (იუნკერის) გმირობა, რომელთაც თავი გასწირეს საქართველოს თავისუფლებისა და სუვერენიტეტისათვის.

დაეცნენ, თუმცა ზურგი არ უჩვენეს რუსულ ხიშტს, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქართულ სახელმწიფოს რომ ჩასცა ჩრდილოელმა ერთმორწმუნე მეზობელმა, რითაც დაარღვია საერთაშორისო პოლიტიკური სტანდარტებით აღიარებული ვალდებულებები და სისხლში ჩაახშო საქართველოს დემოკრატია.

25 თებერვალს 98 წელი სრულდება რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიიდან. განვლილ ლამის საუკუნეს ოდნავად არ გაუფერკმრთალებია თაობათა ისტორიულ მეხსიერებაში იმ მოვლენების გმირთა თავგანწირვა, პირიქით, მათ მაგალითზე იზრდებიან პატარა ქართველები, რომლებიც წლებისა და საუკუნეების შემდეგ მოჰყვებიან სიამაყით, თუ როგორ "აცხონეს თავი თვისი" 1921 წლის სისხლიანი თებერვლის გმირებმა.

ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის, ქართული ენათმეცნიერების პატრიარქის, აკაკი შანიძის, "ქართული ეროვნული ჰიმნის" სიტყვებით დავასრულებთ წერილს:

"სამი ათას წელზე მეტი გვიცხოვრია როგორც ერსა,

მრავალ შავ დღეს მოვსწრებივართ, მაგრამ ბევრსაც ბედნიერსა.

უსიკვდილოდ არვის ვუთმობთ, ჩვენს სამშობლოს მშვენიერსა

და გვიმღერია, კიდევ ვიმღერთ ჩვენს ტკბილ მრავალჟამიერსა!"

ლევან გაბეჩავა

სამტრედიელმა პატარებმა ცხენს გემო გავუბიდანვე გაუგეს

გაახლებული ძველი ამბავი ღაუკარგავი აქტუალობით

თეა ბაბუნაშვილი

გვიკვირს, რატომ აქამდე ვერ გაიგეთო, უკვე გახმაურებულ ფაქტზე გვითხრეს სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებაში. მხედველობაში რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთი ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებაში გასული სიუჟეტი ჰქონდათ. მით უმეტეს, არხი ოპოზიციურის სახელითაა მონათლული. სიუჟეტი სამტრედიის საბავშვო ბაღებში საკვებად ცხენის ხორცის შეტანას იუწყებოდა. როგორც შესაბამის უწყებაში აცხადებენ, არ დაუმალავთ, ოპოზიცია კი ამბობს, რომ ფაქტი გასაიდუმლოებული იყო და მათ ინფორმაცია სურსათის უვნებლობის სამსახურისგან ჩაუვარდათ ხელში. მართალია, 2018 წლის ოქტომბერში მომხდარ პრობლემაზე ვიყვებით, რომელიც უკვე აღმოფხვრილია, მაგრამ მისი სენსიტიურობის გამო იგი დღესაც აქტუალურია.

2018 წლის 16 ოქტომბერს გეგმიური შემოწმებისას სურსათის უვნებლობის სამსახურმა მუნიციპალიტეტის ბაღებში საკვებად შეტანილ ხორცზე გაცემული დოკუმენტი, ე. წ. ფორმა №2, საეჭვოდ მიიჩნია. სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი ხათუნა გაგუა განმარტავს, რომ: "საეჭვოდ მიიჩნიეს დოკუმენტი და არა უშუალოდ ხორცი! ხაზს ვუსვამ, რომ იმ წუთიდან, საეჭვოდ მიჩნეული პროდუქტი დაილუქა და საკვებად აღარ გამოუყენებიათ. ამოღებული ნიმუშების ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ იგი არა საქონლის, არამედ ცხენისა იყო. მოგეხსენებათ, საბავშვო ბაღები დარბილებული, უძვლო, გაუყინავი საქონლის ხორცით მარაგდებიან. სახელმწიფო და თავის მხრივ ჩვენი მუნიციპალიტეტი, სოლიდურ თანხებს დებს ბავშვთა კვებაში. წლიურად სამტრედიაში ამისთვის 340 ათასი ლარი იხარჯება. ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის შემდეგ საბავშვო ბაღებში კვება გავაუმჯობესეთ და ამით ვამაყობთ კიდეც. ამიტომ, არავის მივცემთ უფლებას, მსგავსი ფაქტებით წყალში ჩაგვიყაროს ეს წარმატებული მცდელობა. ჩვენ დავაჯარიმეთ მომწოდებელი შპს "ელენიკო" 20 ათასი ლარით. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ყველა ბიზნეს-ოპერატორი, რომელიც არაკეთილსინდისიერად მიუდგება აღებულ პასუხისმგებლობას, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ბავშვებს ეხებათ, კანონის მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯოს!"

რადგან ახალი წელი ახლოვდებოდა და საკვებ პროდუქტებზე ტენდერი ისედაც უნდა გამოცხადებულიყო, გასული წლის ბოლომდე საბავშვო ბაღებში ხორცი საერთოდ არ შესულა. ეს იმიტომ, რომ ახალი მომწოდებლის გამოსავლენად ჩასატარებელი სამართლებრივი პროცედურები დროს მოითხოვდა. სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის განცხადებით: "ახალი, 2019 წლიდან ჩვეულებრივად გაგრძელდა საბავშვო ბაღების ხორცით მომარაგება. ამჯერად მომწოდებელი შპს "ნარგული" გახლავთ. რაც შეეხება გასულ წელს მომხდარ ინცინდენტს, ეს ფაქტი ჩვენ არ დაგვიმალავს, როგორც ჩანს, ვინმეს ეგონა მიჩქმალული და რაღაცეებისთვის სჭირდებოდა მისით მანიპულირება."

ასე არ ფიქრობს ოპოზიცია. "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე სამტრედიაში, საკრებულოს დეპუტატი ემზარ შუბლაძე ადასტურებს, რომ ინფორმაცია "ახალი საქართველოს" წარმომადგენლებს სურსათის უვნებლობის სამსახურში ჩატარებული გამოძიებისას ჩაუვარდათ ხელში, მას არ ასაჯაროვებდნენ: "ეს ფაქტი ბაღების გაერთიანებამ კი არა, სურსათის უვნებლობის სამსახურმა აღმოაჩინა. ამიტომ, გამორიცხული არაა, რომ ბავშვები მის აღმოჩენამდე რეგულარულად ცხენის ხორცით იკვებებოდნენ. რა თქმა უნდა, ამის დამადასტურებელი დოკუმენტი არ არსებობს, მაგრამ ძალიან დიდი ალბათობით ეს ასეა, რამეთუ, თუ 2018 წლის ოქტომბერში შეიტანა ფირმამ ცხენის ხორცი, რა უშლიდა ხელს, ვთქვათ, სექტემბერშიც, აგვისტოშიც არაკეთილსინდისიერი ყოფილიყო და იგივე ხორცი არ შეეტანა?! გასაგებია, ბაღების ხელმძღვანელობაში ვერ მიხვდნენ ხორცის საეჭვო წარმომავლობას, მაგრამ ეჭვს, შპს. "ელენიკოს" მიერ მოგებული ტენდერი იწვევს. ტენდერის მიმდინარეობისას უარი ეთქვა კომპანიას, რომელიც ამ საქმეს გაცილებით ნაკლებ ფასად შეასრულებდა. ეს ვანდალუიზმია! გასაგებია, რომ ხელისუფლებამ დააჯარიმა მიმწოდებელი და მიმდინარეობს გამოძიება, მაგრამ სანამდე ვიძახოთ ახლა: მიმდინარეობს გამოძიება! დაბოლოს, ვინმემ პასუხი არ უნდა აგოს? თუ ძველი ფაქტია და ახლა შეენებულად გამოამზეურა ვინმემ, როგორც ამას ამბობენ კიდეც, აქამდე რატომ არ არის დასჯილი დამნაშავე. საკმაო დროა მას მერე გასული, დასასჯელი დასჯილიყო. ვინმე დაინტერესდა ან ინტერესდება საერთოდ? არ არის დასასჯელი ამის ჩამდენი?! იმასაც გაიგონებთ, ცხენის ხორცი მავნებელი არაა ორგანიზმისთვის, დელიკატესია და შუა აზიაში მას ჭამენო. თუ ჭამენ შუა აზიაში, ამ ხორცს შესაბამისად ამუშავებენ, დაკვლამდე გარკვეული პერიოდით ადრე სპეციალურ ინექციას უკეთებენ, რომ ცხოველის ორგანიზმიდან ყველა მავნე ნივთიერება გაიდევნოს. როგორ ფიქრობთ, ასე დამუშავებული ხორცი შევიდა საბავშვო ბაღებში?!"

მოსაზრებას, რომ ამ ძველი საქმის გაახლება "ვიღაცას რაღაცაში სჭირდებოდა," ეთანხმება მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია. ისიც ხაზს უსვამს, რომ საბავშვო ბაღებში ცხენის ხორცის შეტანის საკითხი არავისთვის დაუმალავთ, პირიქით, მერიამ კანონის ფარგლებში იმოქმედა და გამოვლენისთანავე აღმოფხვრეს: "სურსათის უვნებლობის სააგენტოს ძალისხმევით აღმოჩენილ ამ ფაქტზე რეაგირება გამოვლენისთანავე გვქონდა. დამალული არაფერი ყოფილა. გვქონდა და გვაქვს პასუხები ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. პრობლემა აღმოფხვრილია, მომწოდებელი დაჯარიმებული და მიმდინარეობს შესაბამისი გამოძიება."

"ვიღაცის რაღაცაში" გამოყენებული ამ ძველი ამბის გაახლება, თუ გასულ არა, მიმდინარე წელს მაინც უნდა დააძველოს გამოძიების შედეგებმა. ვერ გეტყვით, რამდენად ჩამეთვლება ოპოზიციის მხარდაჭერაში, რომ გამოძიება დამნაშავის დასასჯელად, დაბოლოს უნდა დასრულდეს. რამდენად საკმარისია მხოლოდ დაჯარიმებით პასუხისგება, თუ სხვა არავინ, აღსაზრდელების მშობლები განსაზღვრავენ. მიუხედავად იმისა, რომ სამტრედიელმა პატარებმა ცხენის ხორცს გემო ბავშვობიდანვე გაუსინჯეს, მისი საკვებად გამოყენება მაინც მიუღებელია. რა ეშველება იმ დადასტურებულ ფაქტს, რომ ქალაქში ხორცპროდუქტების მაღაზიებში ცხენს ძროხად ინტენსიურად ასაღებენ, შესაბამისი სამსახურები უპასუხებენ, ალბათ. ცნობისთვის, დელიკატესის მნიშვნელობა უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონის გარეშეც ცნობილია ქართველებისთვის, მეტიც, მისი მნიშვნელობისთვის "გემოც გაცნობილი" გვაქვს. იმედია, ამიერიდან ცხენი ძროხაში არც სხვა მომწოდებელს შეეშლება, მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე საბავშვო ბაღშივე მათაც ასწავლიდნენ, რომ ცხენი და ძროხა ორივე შინაური ცხოველებია, მაგრამ საქართველოში საკვებად მხოლოდ ერთი მათგანი გამოიყენება.

კავშირი მეთოდისტს, აღმზრდელსა და კალენდარულ სასწავლო გეგმას შორის

ნინო ნანიტაშვილი

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში 13 თებერვალს ბაგა-ბაღების მეთოდისტებისთვის თათბირი ჩატარდა. გაერთიანების დირექტორის მოადგილემ ყურადღება გაამახვილა იმ სიახლეებზე, რომელიც სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში უნდა დაინერგოს. მარინა შენგელია ორი დღის განმავლობაში ბათუმში გამართულ ტრენინგს ესწრებოდა, სადაც განიხილეს შეფასების ახალი ფორმები, როგორც აღმზრდელებისთვის, ასევე მეთოდისტებისთვის.

ბათუმში ჩატარებულ პრაქტიკულ მეცადინეობებზე მიღებული გამოცდილება მარინა შენგელიამ ქსელში მომუშავე მეთოდისტებს გაუზიარა. თათბირზე მეთოდისტებს მიეწოდათ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები, რომლის მიზნებია: სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესისთვის ხელის შეწყობა; სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარების მიზნით მისაღწევი შედეგების განსაზღვრა დაბადებიდან ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე; ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მიერ ინდივიდუალური სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის წარმართვის უზრუნველყოფა თითოეულ ბავშვთან, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან; ბავშვის ფიზიკური და ემოციური განვითარების უზრუნველყოფა; ბავშვის კოგნიტური განვითარებისა და სკოლისათვის მომზადების უზრუნველყოფა; ადრეული და სკოლამდელი აღზრდის განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემოს შექმნა; ბავშვის განმავითარებელი უსაფრთხო და პოზიტიური სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გარემოს შექმნის ხელშეწყობა.

მეთოდისტებთან თათბირზე ყურადღება გამახვილდა იმ კავშირზე, რომელიც, ახალი სტანდარტიდან გამომდინარე, აუცილებელი კომპონენტია მეთოდისტებს, აღმზრდელებსა და კალენდარულ სასწავლო გეგმას შორის.

8 თებერვალი წმინდა ეთიოპიელ მეფის, დავით აღმაშენებლის ხსენების დღე!

მე, შენ, ჩვენ ერთმანეთისთვის და საქართველოსთვის! აქედან სულ სწვანაირად მოსჩანს გულათი

ქეთევან ჭელიძე

შორიდან უკვე იკვეთება გელათის ტაძრის კონტურები. ამ მიხვეულ-მოხვეულ გზასაც აივლი და კარიბჭესთან აღმოჩნდები.

"ადვილსა შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლოსა, სწორედ აქ "მოიკონა აღშენება მონასტრისა" დავით აღმაშენებელმა. ეს იყო 1106 წელი. დრო ვერაფერს აკლებს ტაძრის ბებერ კედლებს. ჰსურდა და აქცია კიდეც დიდმა მეფემ მეორე ათინად და აკადემიად იგი. გელათი განათლების, მეცნიერების კერა გახდა. მარტო ხმლით კი არა, ცოდნით აღჭურვილი ებრძოდა მტერს "მესიის მახვილი."

მეფემ, რომელმაც "განავსნა და აღაშენნა" ქვეყანა, გაატარა უმრავი რეფორმა და ნიკოფსიიდან დარუბანდამდე განავრცო საქართველო, "აღმაშენებლის" ზედწოდებაც სამართლიანად დაიმსახურა. დღეს, არა მარტო გვიყვარს და გვეამაყება, არამედ შეწევნასაც ვთხოვთ მას, რადგან ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა იგი.

"დარჩა მონასტერი სამარხავი ჩემი და საძვალე შვილთა ჩემთა და წამყვა მისთვისაც ტკივილი სამარადისო. შვილმან ჩემმან მეფემან დიმიტრიმ სრულ ჰყოს ყოვლითურთ". და აი, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შირვანშა და შაჰანშა ანდერძის თანახმად გელათის ღვთისმშობლის ტაძრის შესასვლელში დაკრძალეს და საფლავის ქვაზე დაუწერეს: "ქრისტე! ესე არს განსასვენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე; ესე მთნავს; აქა დაველმკვიდრო მე".

8 თებერვალი დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა. მომლოცველები საქართველოს ყველა კუთხიდან გელათისაკენ მიეშურებიან, მათ შორის ჩვენც, სამტრედიელი ჩოხოსნები.

მღელვარებითა და პასუხისმგებლობით სავსე დღეა _ ჩოხოსნობა ფიცით უნდა განვამტკიცოთ!

მრევლთან ერთად გელათში იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული შავლეგო ტაბატაძე და ქუთაისის მერი გიორგი ჭიღვარიაც იმყოფებიან. ჩოხოსნებთან ერთად მათ ჯერ ქუთაისში მიაგეს პატივი დავით აღმაშენებლის ხსოვნას და მისი ძეგლი ყვავილებით შეამკეს. ყვავილები წმინდა მეფის საფლავზეც მიიტანეს და იქვე, მუზეუმში სამონასტრო კომპლექსის ამსახველი გამოფენაც დაათვალიერეს. აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა სულხან კუპრაშვილმა კი საქართველოს სახელოვან მეფეს კიდევ ერთი ლექცია მიუძღვნა.

იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შესულ სამონასტრო კომპლექსს ამ დღეს უცხოელებიც მრავლად სტუმრობდნენ.

...ღრუბლები მიჰფანტ-მოჰფანტა და მზემ გულში ჩაიკრა გელათი. აქედან სულ სწვანაირად მოჩანს მამული. თითქოს წარსულმა აიდგა ფეხი. დავითის ნაკვალევს მიჰყვები და სული სიმშვიდითა და საათნოებით გევსება.

ლოცვითა და გალობით მაღლდება ტაძარი, საკმევლის სურნელი ეფინება დარბაზს, სანთლის ალი ელამუნება ფრესკებს და ვედრება ზეცად ააქვს. წირვას აღავლენს მღვდელმონაზონი იოსები (ბურჯანაძე), ტაძრის მგალობელთა გუნდს გალობით ენაცვლებიან რევაზ ონიანის ხელმძღვანელობით ფოლკლორული ანსამბლი "კვალი ნათელი" და ეპარქიის ბავშვთა მგალობელთა გუნდი.

ფიცის მისაღებად გვიხმობს ჩოხოსნებს სრულიად საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოების იმერეთის ხელმძღვანელი ლევან როხვაძე. დავით აღმაშენებლის საფლავთან მუხლმოყრილი ვიმეორებთ:

"მე, შენ, ჩვენ, ერთმანეთისთვის და საქართველოსთვის!

მე ვარ ჩოხოსანი და საქართველოს ერთგული შვილი..."

კიდევ ერთი უძველესი რიტუალი: ახლად ფიცმიღებულებმა გადაჯვარედინებული ხანჯლებში გავიარეთ _ რწმენის სიმტკიცე და ერის უძლეველობა დავადასტურეთ.

ყველას ახარებს ბატონიშვილ **ნუგზარ ბაგრატიონის,** ბაგრატიონ-გრუზინსკების სამეფო სახლის მეთაურის გელათში ჩამობრძანება. როგორც აღნიშნავს: "ეს დღე მისთვისაც განსაკუთრებულია, დავით მეფე გამორჩეულია საქართველოს ისტორიაში და სწორედ რომ მნიშვნელოვანია დღეს ქართველთა ერთიანობა, საქართველოს გამთლიანება." აქვე იმყოფება **ბატონიშვილი გიორგი,** ბაგრატიონთა გვარის იმერეთის შტოს წარმომადგენელი: "სასიხარულოა, რომ დღეს ერთხელ კიდევ ვეცით პატივი ამ დიდებულ კაცს, თუმცა, ახლა პატივისცემა კი არა, დიდება უნდა ვუთხრათ მას, რადგან წმინდანია".

ემოციებს ვერ მალავს ბატონი **ლევან როხვაძე**: "დიდი სიყვარულით მივესალმები საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსულ ჩოხოსნებს. გილოცავთ წმინდა მეფის ხსნების დღეს, მრავალს დასწრებოდეთ! ჩვენ გვყავს პატრიარქი, მოსიარულე წმინდანი, მოვუსმინოთ მას, მოვუსმინოთ ჩვენს მეუფეებს, რას გვეუბნებიან, რას გვმოძღვრავენ. ჩვენმა ერმა, ჯიშმა უნდა გაიხაროს, გამრავლდეს და გაძლიერდეს. ქართული გენის, სულის, თვითმყოფადობის ასაღორძინებლად მნიშვნელოვანია ჩვენი ერთად დგომა. ასეთ შემთხვევაში გადავრჩებით. რაც შეეხება იმას, რომ დავითის საფლავთან მუხლი მოვიყარეთ, ერთმანეთს შევახსენეთ, რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენთვის დიდი დავითი. კარგია, რომ ჩოხოსანთა რიგები ყოველწლიურად იზრდება. საქართველოს მასშტაბით 2 ათასი ჩოხოსნიდან ნახევარზე მეტი დასავლეთ საქართველოდანაა: იმერეთი, გურია, სამეგრელო, აჭარა, სვანეთი. ასევე აქტიურობს თბილისი, ქართლ-კახეთი. დღეს 34-მა ჩოხოსანმა დადო ფიცი. ჩვენ ყველა ერთად ისევ შევიკრიბებით 17 მაისს, ოჯახის სიწმინდისა და ეროვნული სამოსის დღეს".

სინანულს გამოთქვამს ბატონი ლევანი, საპატიო მიზეზის გამო გელათში ჩამოსვლა რომ ვერ შეძლო სრულიად საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოების ხელმძღვანელმა ზვიად სეხნიაშვილმა.

15 წელია ჩოხოსანია ზუგდიდის ჩოხოსანთა სადროშოს ხელმძღვანელი **გიორგი ქორთუა**: "დავით მეფის ტიტულატურას რომ გადავხედოთ, მისი წოდება ასე იწყება: "მეფე აფხაზთა". აფხაზეთი საქართველოს ნაწილი იყო ყოველთვის. ამ დღის გადასახედიდან ყველას ნატვრა და ოცნებაა, ის დიდებულება დაუბრუნდეს საქართველოს, რასაც მთელი შრომა და ძალისხმევა მოანდომა დავით მეფემ. ეს ყოველივე თავისით არ მოსულა. დღესაც გვჭირდება დიდი შრომა. ლოცვა და, რაც მთავარია, ერთმანეთის სიყვარული. თუ ერთმანეთი გვეყვარება და ღმერთთან ახლოს ვიქნებით, შეისმენს ჩვენს ლოცვას და გაგვაძლიერებს. ალბათ, შორს აღარ არის დრო, როცა აფხაზ ძმებთან ერთად ვიქნებით".

"დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა და გელათში ვიმყოფებით. ამაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს ქართველი კაცისთვის". _ გვეუბნება მსახიობი **ვანო იანტბელიძე**. _ "თუ საქართველოში ვარ და საშუალება მაქვს, ამ დღეს აქ ვიყო, ყოველთვის ჩამოვდივარ. ეს არის პატივის მიგება იმ ჩემი დიდი წინაპრების მიმართ და ხვალინდელი საქართველოს იმედით იმ ადამიანებთან შეხვედრა, ვინც მიყვარს და ღირსია. აღმაშენებელთან თუ რამ არის დაკავშირებული, უწმინდესი და უდიდესი რამაა".

"ისეთი მეფე, როგორიც დავით აღმაშენებელია, ჩვენს ისტორიაში არ ყოფილა. მან გააერთიანა საქართველო, სასიკეთო ძვრები განახორციელა როგორც განათლების სისტემაში, ისე პოლიტიკური მიმართულებით. თითოეული ქართველისთვის ეს დღე დღესასწაულია. ვულოცავ მთელ საქართველოს და მინდა, რომ წმინდა დავითის მფარველობის ქვეშ ისევ გაერთიანებულიყოს საქართველო. მისი მეოხებით ჩვენი ქვეყანა ერთ-ერთი უძლიერესი გამხდარიყოს. მთავარია, სულით და გულით იყო ქართველი და შენს ქვეყანას გამოადგები". _ ეს ბატონი **ზაზა სულაძეა**, ჩოხოსანი, "ღირსების" დარბაზის თანათავმჯდომარე.

პოეტი **ირმა ქურასბედიანი** ჩოხოსანი ქალბატონია, ამასთან, "ღირსების დარბაზის" თავმჯდომარე. როგორც ყველა ქართველისთვის, ეს დღე ჩემთვისაც ზეაღმატებულიაო, ამბობს. უყვარს დავით აღმაშენებელი და ხშირად წერს მასზე. აღნიშნავს, რომ: "საქართველოს მასზე დიდი მეფე არ ჰყოლია. საუკუნეების შემდეგაც ველოდებით, რომ დავითი ისევ მოვა. ჩემს პოეზიაში მივსტირი დროს, როცა ის მეფობდა. ბოლო დროს დავწერე, მოხვალ და ისევ ჩამოიტან დარუბანდიდან ჭიშკარს-თქო. ისევ გაერთიანებს საქართველოს ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. მიხარია, რომ დღეს აქ ასეთი ხალხმრავლობაა. მარტო ახლა არ უნდა იყოს ასე. ყოველი დღე წინაპართა პატივგების დღე უნდა იყოს, შენი ფესვების პატივისცემის დღე. ხის სიმაღლე ფესვებიდან იზომებაო, ნათქვამია და თუ ამას გავამყარებთ ჩვენს სულში, ამ ღირებულებებით ვაცხოვრებთ ჩვენს მომავალ თაობებს, ყველაფერი ძალიან კარგად იქნება. მე მაქვს დავით მეფეზე ასეთი ლექსი: "მჯერა, ღირსება ძველებურად აღდგება მკვდრეთით,/ ღვთისმშობლის წილხვედრს არ გაწირავს მაღლით უფალი,/ სამშობლო იყო და იქნება ტაძარი ერთი,/ ქართველი კაცი მისი ნაღდი ჭირისუფალი". და იმედი მაქვს, რომ "მზე ანთებული კვლავაც ინათებს,/ ცეცხლად იელვებს მისი მშვენება,/ ქართულ მიწა-წყალს?/ მტრების ჯინაზე არ უწერია გადაშენება".

დავითობა ჩოხოსანი ქალბატონის, **შორენა ამაღლობელის,** განმარტებით: "ის გამორჩეული დღესასწაულია, როდესაც ერი და ბერი წმინდა მეფის საფლავს მუხლმოყრილი მიეახლება. მეფის, რომელმაც "ნიკოფსიიდან დარუბანდამდე" გადაჭიმა და გააერთიანა ცალკეულ სამთავროებად დაყოფილი ჩვენი მამული. ამიტომაც აქვს ამ დღეს ასეთი

მნიშვნელობა ქართველებისათვის; ამიტომაც იერიან მუხლს და იდრეკენ ქედს ბუმბერაზი მეფის ხსოვნის წინაშე. ამ ბრძოლაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩოხოსანთა ღვაწლი; მათ მიერ ქართული ისტორიის, ტრადიციების პატივისცემა. სრულიად საქართველოს ვუულოცავ დავითობის დღესასწაულს. ახლად ნაკურთხ ჩოხოსნებს, განსაკუთრებით _ ჩემს სამტრედიელებს კი ამ საპატიო "ლეგიონერობას". მე მჯერა, ჩვენ აუცილებლად მივალთ იმ ტაძრამდე, რომელსაც გაბრწყინებული და გამარჯვებული ივერია ჰქვია".

ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის საოპერო თეატრის მომღერალი **ლიანა ქალდანიც** ჩოხოსანია. "პირველი კლასიკოსი მომღერალი სვანი". _ ასე აცხადებდა ბატონი ნოდარ ანდღულაძე ჩემი გამოსვლის დროს. _ იუმორი გაურია ჩვენთან საუბარში ქალბატონმა ლიანამ, დასძინა: "დიდი პატივია, მადლობა უფალს, რომ ვარ ჩოხოსანი. ეს სამოსი მეცვა თაქთაქიშვილის სპექტაკლ "მინდიაში". ღმერთმა გვმრავლოს დიდი დავითისთანა მომავალი თაობა. ისევ დავითი უნდა მოვიდეს, რომ უშველოს ჩვენს ქვეყანას. მალე გვენახოს გაერთიანებული საქართველო ჩვენი წინაპრების სასახელოდ".

8 თებერვალს წმინდა მეფის საფლავზე ფიცი სამტრედიის წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელმა **ჯონი ნადირაძემაც** დადო. "ჩემი აზრით, მეტად უნდა გამოიკვეთოს ამ დღის მნიშვნელობა ქართველებისთვის. როცა პატრიარქი სამტრედიაში ჩამობრძანდა და ის ტერიტორია აკურთხა, სადაც ახლა ტაძარია, კითხვა დასვა: ვის სახელზე ავაშენოთ ტაძარი სამტრედიაში?" იქ იყო წამოძახილები, ილია მართლის სახელზეო. პატრიარქი დაფიქრდა ცოტა ხანს და მერე ბრძანა: ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველოში არ გვაქვს მოქმედი ტაძარი ყველაზე დიდი ქართველი ხელმწიფის, ყველაზე დიდი ადამიანის, დავითის სახელზე და თუ წინააღმდეგი არ იქნებით, ავაშენოთ მის სახელზე და ვალი მოვიხადოთო.

სწორი ბრძანა პატრიარქმა: დავით აღმაშენებელი ყველაზე დიდი ხელმწიფე იყო ყველა ასპექტით ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. თუ რამ აკეთა მან, ყველაფერი გაანალიზა და შეაფასა მის მიერ დაწერილ "გალობანი სინანულისანში". ჩვენ პატივი უნდა მივაგოთ მას. მიხარია, რომ დღეს ჩემს მეგობრებთან ერთად ვარ გელათის ტაძრის ტერიტორიაზე. ჩატარდა წირვა, შეიკრიბა ჩოხოსანთა საზოგადოება და საშუალება მომეცა, ფიცი დამედო როგორც საქართველოს საპატრიარქოს ჩოხოსანს. მადლობა უფალს ამისთვის!"

ჩოხოსნობის სურვილით ძილგატეხილი **დავით ძიძიგურიც** ჩვენთანაა. უფლისა და სამშობლოს სიყვარულით ზრდიან პატარას და თავის მამას, კობა ძიძიგურს, არც იმ დღეს ჩამორჩა, ჩოხოსანი გახდა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილისთვის, **კობა ძიძიგურისთვისაც** განსაკუთრებულია დავით აღმაშენებლის ხსენების დღე. "დავითი ყველა ქართველისთვის საფიცარი მეფეა. მან შეძლო საქართველოს გამთლიანება და დიდ საზღვრებში, ნიოფსიიდან დარუბანდამდე გააერთიანა იგი. ყველაზე მეტი, თუ ვინმეს ჩვენი ქვეყნისთვის უკეთებია, ეს იყო დავით აღმაშენებელი. მე მთელი ჩემი არსებით მისი მოღვაწეობის მადლიერი ვარ. მიმაჩნია, ყველა ქართველისთვის მისაბაძი უნდა იყოს იგი, არა როგორც მეფე, არამედ _ ადამიანი. პიროვნებას, როგორც ქრისტიანს, დიდი ღვაწლი აქვს გაწეული თავისი ქვეყნისა და ღვთის წინაშე.

მადლობელი ვარ უფლის, რომ მომცა შესაძლებლობა, დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობაში ჩავრთულიყავი. მადლობელი ვარ წმინდა მეფის, რომ მან ინება ჩემი ხელიდან ამ მცირეოდენი წვლილის შეწირვა. ვთვლი, რომ სამტრედიისა და სამტრედიელებისათვის დავითის დიდი წყალობაა, რომ ჩვენს ქალაქში არის მისი სახელობის ტაძარი და ძალიან ბევრ ჩვენგანს წვლილი აქვს მიღებული მის მშენებლობაში".

8 თებერვალი განსაკუთრებით საპასუხისმგებლოა **მალხაზ იანტბელიძისათვის**, როგორც საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოების სამტრედიის სადროშოს მეთაურისთვის: "ამ დღეს საქართველოს ყველა სადროშო ვიკრიბებით ქუთაისში, რათა პატივი მივაგოთ დიდ მეფეს. ტრადიციულად, ჩვენს რიგებში ჩოხოსანთა ახალ წევრებს ვიღებთ. ეს დღე იმითაც არის განსაკუთრებული, რომ საპატიო სტუმრის სტატუსით აქ ბატონიშვილი ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკი მობრძანდა".

სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონული სამმართველოს ინსპექტორისთვის, **გიგა გელოვანისთვის,** დიდი პატივია ჩოხოსნობა და მონაწილეობა იმ დიდ დღესასწაულში, რომელიც "საქართველოსთვის ყველაზე დიდ მეფეს, წმინდანად შერაცხულ დავით აღმაშენებელს ეძღვნება. ამაღლებული და შესანიშნავი დღეა. დავითმა გააერთიანა და გააძლიერა საქართველო. გილოცავთ წმინდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, მრავალს დასწრებოდეს სრულიად საქართველო!"

4 წელია, ჩოხა მაცვიაო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახურის უფროსმა **ლევან აზობაძემ**: "ფიცი შარშან მივიღე. დავით მეფე საყოველთაოდ ყველა ქართველისთვის ერთ-ერთი ან ერთადერთი ადამიანია. ეს ადამიანი ბევრ ადამიანს ბევრ ადგილას ბევრ ფერად ეცვლება

რუსთველი ჩვენი თანამედროვე აზროვნების ახალგაზრდობაა

მივიწყებული წარსულის საიღუმლო

ზოთა პაპავა

გასულ წელს ამსტერდამში ინგლისურ ენაზე გამოიცა მონოგრაფია «შუა საუკუნეების ქართული რომანი «ვეფხისტყაოსანი» და შექსპირის ბოლო პერიოდის პიესები» («Medieval Georgian Romance «The Man in a Panther-Skin» and Shakespeare's Late Plays»). მისი ავტორია ცნობილი მეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე, შუა საუკუნეების ფილოსოფიური კვლევების საერთაშორისო საზოგადოების ნამდვილი წევრი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი ელგუჯა ხინთიბიძე.

მკვლევრის მეცნიერული ინტერესების სფერო, ძირითადად, რუსთველოლოგია, ქართულ-ბიზანტიური და ქართულ-ევროპული ლიტერატურული ურთიერთობები, ქართული ლიტერატურის პრობლემებია.

*აკადემიკოს ელგუჯა ხინთიბიძის რუსთველოლოგიური კვლევები თავმოყრილია **2009** წელს გამოქვეყნებულ წიგნში «ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო», რომლის წინასიტყვაობაში ავტორი წერს: ნაშრომი «აგრძელებს და ამთლიანებს ჩემს კვლევა-ძიებებს «ვეფხისტყაოსნის» იდეურ-მსოფლმხედველობით სამყაროზე. მონოგრაფიაში წარმოდგენილია «ვეფხისტყაოსნის» კონკრეტული საკვანძო მხატვრული სახეების, თეოლოგიურ-ფილოსოფიური დებულებებისა და იდეურ-თემატური მოტივების კვლევა. მიღებული შედეგები განზოგადებულია დღევანდელი რუსთველოლოგიური მეცნიერების სრული გათვალისწინებით და ჩამოყალიბებულია ახლებური კონცეფცია «ვეფხისტყაოსნის» მხატვრულ სტრუქტურაში გამოვლენილ ავტორისეულ მსოფლმხედველობაზე".*

*ინტერესი ხვდა წილად ელგუჯა ხინთიბიძის ბოლოდროინდელ აღმოჩენას, რომლის მიხედვით "ვეფხისტყაოსნის" სიუჟეტი გამოყენებულია **XVII** საუკუნის დასაწყისის ინგლისელ დრამატურგთა _ უილიამ შექსპირის, ფრენსის ბომონტისა და ჯონ ფლეტჩერის მიერ. მეცნიერის მტკიცებით, «ვეფხისტყაოსნის» სიუჟეტის გადამუშავებითაა შექმნილი ინგლისის სამეფო დასის **XVII** საუკუნეში პოპულარული პიესები: შექსპირის «ციმბელინი», ბომონტისა და ფლეტჩერის «ფილასტერი» და «მეფე და არა მეფე».*

ამჟამად ელგუჯა ხინთიბიძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტს ხელმძღვანელობს. სწორედ იქ ვეწვიეთ მეცნიერს, რათა «სამტრედიის მაცნეს» მკითხველისათვის თავისი ბოლო პერიოდის კვლევის ზოგიერთ დეტალზე ესაუბრა.

_ შექსპირის ეპოქის ევროპულ მწერლობაში საქართველო ან ქართველი პერსონაჟი, ისტორიული თუ გამოგონილი, ძალზე იშვიათად იხსენიება. სიტუაცია შექსპირის მოღვაწეობის უკანასკნელი პერიოდიდან იცვლება. ევროპულ ლიტერატურათმცოდნეობაში არის თვალსაზრისი, რომ თვითონ შექსპირის ერთი პერსონაჟი _ დედოფალი ტამორა ტრაგედიაში «ტიტუს ანდრონიკუსი» _ თამარ მეფის სახელის საფუძველზე უნდა იყოს სახელდებული. თუმცა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში ეს ვარაუდი უარყოფითადაა შეფასებული.

«ვეფხისტყაოსნის» სიუჟეტთან მიმართებით შექსპირის სახელი უხსენებია ინგლისის პარლამენტის წევრს, ემერის ჰიუზის. 1966 წელს თბილისში რუსთველის 800 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში მას უთქვამს: _ ვწუხვარ, რომ ქართული არ ვიცი, მაგრამ შექსპირის ენაზე ვილაპარაკებ; ეს კია, რომ თვით შექსპირი ერთი თვალსაზრისით გაუნათლებელი იყო: რუსთველის არსებობა არ იცოდა; რომ სცოდნოდა, უეჭველად ისესხებდა ან მოიპარავდა "ვეფხისტყაოსნის" სიუჟეტსო.

_ თქვენმა მუშაობამ ამ საკითხზე კი გამოავლინა, რომ რუსთველის აზროვნება არა მხოლოდ თავისებურ პარალელს პოულობს ევროპული საზოგადოებრივ-ლიტერატურული აზრის განვითარებასთან, კერძოდ _ ტრუბადურების, დანტეს, პეტრარკას მემკვიდრეობასთან, არამედ «ვეფხისტყაოსნის» კვალი უშუალოდ შეინიშნება ევროპული ლიტერატურის მხატვრულ ნაწარმოებებში.

_ ვიდრე საკუთრივ თემის დეტალებზე ვიტყოდე, უმჯობესია, პასუხი გაეცეს ერთ შეკითხვას, რომელიც «ვეფხისტყაოსნის» ტექსტს შეეხება და რუსთველოლოგიის სფეროს განეკუთვნება. რუსთველი პროლოგში თავის თხზულებას სპარსულ ამბავს უწოდებს: «ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები... / ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები». პოეტის ამ სიტყვებს რუსთველოლოგები სხვადასხვაგვარად განმარტავდნენ, რამდენადაც «ვეფხისტყაოსნის» უშუალო აღმოსავლური სიუჟეტური წყარო არ ჩანდა. XVII საუკუნის ინგლისურ დრამატურგიაში «ვეფხისტყაოსნისეული» ფაბულის გამოვლენა აჩენს კითხვას _ ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ ინგლისელ დრამატურგებთან ეს სიუჟეტური ქარგა იმ უცნობი აღმოსავლური წყაროდან მოდის, რომელიც თავად რუსთველის წყარო შეიძლებოდა ყოფილიყო. კითხვას ამთავითვე უარყოფითად ვუპასუხებთ, რადგან დღეს უფრო დაბეჯითებით ვსაუბრობთ «ვეფხისტყაოსნის» სიუჟეტურ ქარგასა და მის სავარაუდო წყაროებზე.

რუსთველის სარაინდო რომანში ორი უმთავრესი სიუჟეტური ქარგა ჩანს. პირველი აგებულია სამეფო ტახტის დინასტიური მემკვიდრეობის შენარჩუნების იდეაზე და მოაზრებულია მეფის ერთადერთი მემკვიდრე ქალისა და მისთვის საქმროს შერჩევის თემაზე. ეს იდეა და თემა ჩანს «ვეფხისტყაოსნის» სიუჟეტის ორივე პარალელურ ამბავში _ არაბეთისა და ინდოეთის ამბებში. ეს ქარგა რუსთველის მიერ მოაზრებულია XII საუკუნის 80-იანი წლების საქართველოს ისტორიული სინამდვილის საფუძველზე საქართველოს მეფე გიორგი მესამის მიერ ერთადერთი ქალიშვილის _ თამარის, გამეფების ანალოგიით. მეორე სიუჟეტური ქარგა შეევარებული უფლისწულისაგან დაკარგული სატრფოს ძიებისა და სამი მეგობრის მიერ მისი გათავისუფლების თემაზეა აგებული, რომლის უძველესი ანალოგი ინდურ ეპოსში _ «რამაიანაში» ჩანს.

ინგლისურ დრამატურგიაში სიუჟეტურ წყაროდ გამოყენებულია «ვეფხისტყაოსნის» ზემოთ ხსენებული პირველი ქარგა, რომელიც აშკარად რუსთველისეულია და, როგორც აღვნიშნე, ქართული სამეფო კარის რეალური ფაქტების საფუძველზეა აგებული. ნათქვამს ისიც უნდა დაემატოს, რომ ინგლისურ დრამატურგიაში ნესტანისა და ტარიელის სიყვარულის ამბის მხოლოდ ზოგადი კვალი კი არ ჩანს, არამედ მისი «ვეფხისტყაოსნისეული» მხატვრული დეტალებიც. იმასაც უნდა მიექცეს ყურადღება, რომ ინგლისელი ავტორები მოქმედების ლოკალიზების ადგილად სწორედ იბერიის სამეფო კარს ასახელებენ.

_ თუმცა ძველი ბერძნული და ლათინური ისტორიოგრაფიული თხზულებების საფუძველზე ევროპულ წყაროებში «იბერია», გარდა დღევანდელი საქართველოსა, დღევანდელ ესპანეთსაც ეწოდებოდა...

_ დავიწყოთ უნდა იმით, რომ «იბერები» იყვნენ დღევანდელი ბრიტანეთის უძველესი მცხოვრებნი, რომელთა იქ მისვლას ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-3 ათასწლეულში ვარაუდობენ. ძველ ლათინურ წყაროებში «ჰიბერნია» (*Hibernia*) დღევანდელ ირლანდიას ეწოდება. უფრო პოპულარული იყო დღევანდელი ესპანეთის ტერიტორიაზე არსებული იბერია, ანუ პირენეს იბერია. ევანდელი ესპანეთის ტერიტორიაზე არსებული იბერია, ანუ პირენეს იბერია. ძველი ისტორიკოსების აზრით, დასავლეთისა (პირენეს) და აღმოსავლეთის (კავკასიის) იბერიაში ერთმანეთის მონათესავე ხალხი ცხოვრობდა. ძველი ბერძნები (სტრაბონი, იოსებ ფლავიუსი, ევსევი კესარიელი) ფიქრობდნენ, რომ იბერები დასავლეთიდან - პირენეს ნახევარკუნძულიდან გადმოსახლდნენ აღმოსავლეთში. ძველი რომაელი მწერლები (ვარონი, პლინიუს უფროსი) უპირატესად იბერების აღმოსავლეთიდან დასავლეთში გადასახლების ვერსიას უჭერდნენ მხარს. როგორც ჩანს, ანტიკურ სამყაროში ის ვარაუდიც იყო დაშვებული, რომ ეს ორი თანამოსახელე იბერები შესაძლოა სხვადასხვა ხალხიც იყოს. ამას მოწმობს აპიანეს (I-II სს.) გადმოცემა: «იბერებს, რომლებიც აზიაში არიან, ზოგი მიიჩნევს ევროპელი იბერების წინაპრად, ზოგი _ ამათ მოახალშენეებად, სხვები _ მხოლოდ თანამოსახელეებად, რადგან არც ზნე აქვთ არაფრით მსგავსი და არც ენა».

ინგლისელი დრამატურგების «იბერიის» იდენტიფიცირება შედარებით ადვილად ხერხდება. საქმე ისაა, რომ პიესის მიხედვით, იბერიის ახალგაზრდა მეფე არბასესი (*Arbaces*) ამარცხებს მეზობელი ქვეყნის, არმენიის, მეფეს, ტიგრანესს (*Tigranes*), და იგი ტყვედ მოჰყავს იბერიის სამეფო კარზე. ეჭვი არაა, რომ «იბერიაში», რომლის მეზობელი სომხეთია (არმენიაა), ნამდვილად საქართველო იგულისხმება. პირველ საუკუნეში ამ ორი ქვეყნის სამხედრო დაპირისპირების თაობაზე მიუთითებს ლათინური საისტორიო წყაროები, რომელთაც დანამდვილებით იცნობდნენ XVII საუკუნის ინგლისის სამეფო თეატრში.

_ მართალია, «ვეფხისტყაოსნის» შესწავლას შუა საუკუნეებიდან რენესანსზე გარდამავალი ეპოქის ისტორიულ-ლიტერატურული თუ ფილოსოფიურ-ესთეტიკური პროცესების ფონზე საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ თქვენი ახალი კვლევა უკვე წარმართულია არა მარტო ტიპოლოგიური თვალსაზრისით, არამედ შესაძლებელი უშუალო კონტაქტის მხრითაც. რა გზით უნდა ყოფილიყო მისაწვდომი «ვეფხისტყაოსნის» სიუჟეტი XVII საუკუნის ინგლისელი დრამატურგების _ ფრენსის ბომონტისა და ჯონ ფლეტჩერისათვის?

_ ბრიტანულ სპეციალურ ლიტერატურაში ამაზე არავითარი მინიშნება არ ჩანს. ქართული საისტორიო წყაროები, საზოგადოდ, საკმაოდ მწირია (ამის უმთავრეს მიზეზად შუა საუკუნეების საქართველოს მძიმე პოლიტიკურ სიტუაციას ასახელებენ). ჩემ მიერ თავიდანვე გამოითქვა რამდენიმე შორეული ვარაუდი ამ საიდუმლოს ამოსახსნელად. საკითხის შემდგომმა კვლევამ, ჩემი აზრით, სარწმუნო თვალსაზრისი გამოკვეთა: ნესტანისა და ტარიელის სიყვარულის «ვეფხისტყაოსნისეულ» ამბავს ინგლისის დრამატურგთა საზოგადოებამდე უნდა მიეღწია XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე სპარსეთის შაჰის სამეფო კარზე დაწინაურებული ქართული წარმოშობის დიდებულთა და იმავე პერიოდში სპარსეთის სამეფო კარზე სერ ანტონი შერლის მეთაურობით ჩასულ ინგლისელ დიპლომატთა ჯგუფის თანამშრომლობით.

_ გამოვლენილმა ვითარებამ, რომ ანტონი შერლის მჭიდრო კავშირი ჰქონდა იმ ინგლისელ გრაფებთან, რომლებიც სამეფო თეატრთან, კერძოდ _ შექსპირთან, იყვნენ დაახლოებულნი და, გარდა ამისა, ფაქტმა, რომ შექსპირი თავის თხზულებებში იყენებს ანტონი შერლის სპარსეთში მოგზაურობის ცნობებს, როგორც ამბობთ, პრობლემის კვლევის სფეროში შექსპირის დრამატურგია შემოიტანა.

_ ინგლისური კრიტიკა არაორაზროვნად მიუთითებს, რომ შექსპირის ბოლო პერიოდის პიესები ლიტერატურული სტილით იმავე ჟანრის თავისებურებებს ამჟღავნებს, რომელსაც ბომონტისა და ფლეტჩერის «მეფე და არა მეფე» და «ფილასტერი» განეკუთვნება, ხოლო ეს უკანასკნელი პიესა აშკარა სიუჟეტურ მიმართებას წარმოაჩენს შექსპირის «ციმბელინთან». ამ თხზულებათა ურთიერთმიმართებისა და ამ მიმართებების ნესტანისა და ტარიელის «ვეფხისტყაოსნისეულ» რომანთან პარალელურმა კვლევამ გამოკვეთა ჩემი თვალსაზრისი: «ვეფხისტყაოსნის» აღნიშნული რომანული ციკლი არის შექსპირის «ციმბელინის» თემატური და კომპოზიციური წყარო. უფრო მეტიც, შექსპირის დრამატურგიის უკანასკნელი პერიოდის პიესებში, საერთოდ, შეინიშნება რემინისცენციები ნესტანისა და ტარიელის სიყვარულის ისტორიის სიუჟეტური თუ იდეურ-თემატური პასაჟებისა.

უკვე არაერთხელ მითქვამს და კვლავ გავიმეორებ, რომ «ვეფხისტყაოსნის» მსოფლმხედველობითი სამყარო ევროპული ცივილიზაციის ნაწილია. XII საუკუნის ქართული სარაინდო რომანის უილიამ შექსპირისა და მისი თანამედროვეების მიერ სიუჟეტურ წყაროდ გამოყენება ქართული და ევროპული სამყაროს მჭიდრო კონტაქტს ადასტურებს.

«ვეფხისტყაოსანი» მისი თანამედროვე და უშუალოდ მომდევნო თუ წინამორბედი დიდი ლიტერატურული ქმნილებებიდან ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელიც ყველაზე მეტი გაზრებითა და თანმიმდევრობით გამოკვეთს ახალ მსოფლშეგრძნებას _ შუა საუკუნეების ტრანსცენდენტურ მსოფლმხედველობაში მოაზრებულ, რომანტიკული შეფერილობის რეალისტურ ხედვას. რუსთველი ჩვენი თანამედროვე აზროვნების ახალგაზრდობაა. იგი _ ცხოვრებისეულ სილამაზეს, გონების სიძლიერესა და უმაღლეს სულიერ-ემოციურ იდეალებს მინდობილი, ოცნებობს ადამიანის ბედნიერებაზე და ამ ბედნიერებას საუკუნო სასუფეველთან ერთად სიკეთის ამქვეყნიურ ზეიმსა და ადამიანის მიერ ადამიანის სიყვარულში ხედავს.

"ახიან მასნავლებლები, ჰომლებიც ასნავლიან მასნავლებლებსაც"

ნათია ნაცვლიშვილი

ის ჩვენი პატარა ქალაქის დიდი პედაგოგიური ავტორიტეტია! ფიზიკოსი ქალბატონის დიდი ინტელექტის და მრავალმხრივი განათლების შესახებ არა მარტო იმ სკოლაში უწყიან, სადაც მას წლების განმავლობაში უმუშავნია და პედაგოგიური ღირსებით, საკუთარი ვალდებულების ღრმა გააზრებით და ეროვნული იდეალების ერთგულებით თაობები გამოუზრდია. არაერთხელ მოუხიბლავს პუბლიკა მის მიერ ჩატარებულ სასკოლო ინტეგრირებულ გაკვეთილს თუ ღონისძიებას. ამ უკიდეგანო ენერგიის, შემართებისა და ფანტაზიის მქონე ქალბატონს წლები ვერას აკლებს. 23 თებერვალს მზია მასწავლებელი იუბილარია, ქალბატონების ასაკს არ ასახელებენ, მით უფრო, იმ ქალბატონისას, ვინც მისი არსებობით ადასტურებს სენტენციას, რომ განათლებას ასაკი არა აქვს! იგი მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი მოთხოვნადი, ენერგიადაუშრეტელი და ღვაწლმოსილი პედაგოგია, პედაგოგი, რომლის მაგალითზე მომავალი პედაგოგები უნდა ფორმირდნენ და ჩამოყალიბდნენ! გადავავლოთ თვალი წარმატებული პედაგოგის საინტერესო და შინაარსიან ბიოგრაფიას, ამ ბეგ-რაუნდით ჩვენი პატარა ქალაქის კი არა, ქვეყნის მასშტაბით უამრავი პედაგოგი იამაყებდა!

დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სპეციალობით ფიზიკა), იმავე წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში, 1965 წელს თანაავტორებთან ერთად დაიბეჭდა მისი პირველი ნაშრომი ჟურნალში: "Кинетика и катализ" . საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში "მეცნიერება" გამოქვეყნდა მისი მეორე სამეცნიერო ნაშრომი. 1972 წლიდან მუშაობას იწყებს სამტრედიის პირველ საჯარო სკოლაში ფიზიკის მასწავლებლად, 1983 წლიდან ფიზიკის მასწავლებელთა რაიონული მეთოდგაერთიანების ხელმძღვანელია.

22-ე რესპუბლიკურ სამეცნიერო პედაგოგიურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებისათვის განათლების სამინისტრომ დააჯილდოვა მეორე ხარისხის დიპლომით. 1979 წელს მიენიჭა უფროსი მასწავლებლის წოდება, მიღებული აქვს განათლების მინისტრის მადლობის ფურცლები 23-ე და 24-ე რესპუბლიკურ კონფერენციებში აქტიური მონაწილეობისათვის. 1982 წელს, საქართველოს დახელოვნების ინსტიტუტის ფიზიკის ლაბორატორიის წარდგინებით, გახდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სწავლების შინაარსისა და მეთოდების კვლევითი ინსტიტუტის ფიზიკის ლაბორატორიის კორესპონდენტი, სადაც მონაწილეობას ღებულობდა პრობლემური საკითხების განხილვაში. 1985 წელს მიენიჭა მასწავლებელ-მეთოდისტის წოდება, 1988 წელს სატესტაციო კომისიამ მიანიჭა უმაღლესი კატეგორია, 2002 წელს მიენიჭა "ყოველთა ძლიერთა პატივგების სიგელი". ამავე წელს იმერეთის სასკოლო ოლქის სამმართველომ დაჯილდოვა კონკურსში "საუკეთესო მასწავლებელი, სკოლა, რაიონი, ქალაქი, იმერეთის განათლების სისტემაში" მეორე ადგილის დაკავებისათვის. 2006 წელს მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში შეტანილი წვლილისათვის დაჯილდოვდა გოგებაშვილის საიუბილეო მედლით და საპატიო სიგელით. 2008 წელს მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლემ დააჯილდოვა დიპლომით იმერეთის რეგიონალურ კონკურსში მოსწავლეთა კარგი მომზადებისა და მაღალი წარმატებისათვის. 2009 წელს "ახალი ინიციატივა" აჯილდოვებს სიგელით სამტრედიის სკოლებს შორის ინტელექტუალურ თამაშში "რა? სად? როდის?" საუკეთესო გუნდის მომზადებისათვის. 2011 წელს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულმა სასახლემ გადასცა მადლობის ფურცელი მოსწავლეთა 65-ე სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის ფიზიკის სექციის მუშაობაში მონაწილეობისათვის. ასევე გადაეცა მეორე საჯარო სკოლის დირექტორის მადლობის ფურცელი წარმატებული პედაგოგიური მოღვაწეობისათვის. იუბილარი ქალბატონის ღირსებებზე მისი კოლეგები, სხვადასხვა თაობის ფიზიკის პედაგოგები (და არა მარტო ისინი) ისაუბრებენ.

ციური ხურცილავა, პირველი საჯარო სკოლის ფიზიკის პედაგოგი, სასწავლო ნაწილი:

"არიან მასწავლებლები, რომლებიც ასწავლიან მხოლოდ ბავშვებს, და ასეთი ძალიან ბევრია, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც ასწავლიან მასწავლებლებსაც, ასეთნი ძალიან ცოტანი არიან. ამ ცოტაში ერთ-ერთია მზია კირთაძე. არ მქონია ბედნიერება, ის ჩემი მასწავლებელი ყოფილიყო, როგორც ბავშვის, მაგრამ როგორც მასწავლებლის _ კი. ჩვენი ნაცნობობა დაიწყო, როცა მასწავლებლობა დავიწყე, მაშინ ის რაიონული მეთოდგაერთიანების ხელმძღვანელი იყო და წელიწადში რამდენჯერმე აწყობდა შეხვედრებს მასწავლებლებთან. არის არა მარტო საგნის კარგად მცოდნე და პროფესიონალი, არამედ კარგი მასწავლებელი და პიროვნება. მზია მასწავლებელი ჩემი მეგობარია, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ მზია მასწავლებლის მეგობარი ვარ მე. არ გამორჩება არც ერთი თარიღი და სიახლე პედაგოგიკის სფეროში, არის მუდამ აქტიური და საიმედო, დასაყრდენი ადამიანი. ჩემი შვილი ეროვნულ გამოცდებზე ფიზიკას აბარებდა ერთ-ერთ საგნად, მე ვამეცადინებდი ფიზიკასა და უნარებში. მითხრა: დედა, მომბეზრდი როგორც მასწავლებელი და გამიშვი სხვასთანო, რა თქმა უნდა, სხვასთან ვისთან გავუშვებდი, თუ არა მზია მასწავლებელთან. შედეგი ის იყო, რომ საგანში ქულათა 85 პროცენტი აიღო. ვულოცავ იუბილეს დიდი სითბოთი და სიყვარულით. თუ ვინმემ საგანი ფიზიკა კარგად იცის, მათ დიდ უმრავლესობას სწორედ მზია მასწავლებლის სკოლა აქვს გავლილი. მათ შორის სამტრედიაში დღეს მოღვაწე ფიზიკის მასწავლებლებს. მზია მასწავლებელს ვუსურვებ პირველ რიგში ჯანმრთელობას, მისი აღზრდილებით სიამაყეს, ისეთივე შრომის უნარს, როგორიც დღეს აქვს. საკუთარ თავსაც ვუსურვებ იმ ენერგიას და შემართებას, რაც ჩვენს საყვარელ მზია მასწავლებელს აქვს!"

თეა კარტოზია, მეორე საჯარო სკოლის დირექტორი:

"მზია მასწავლებელთან ერთად 11 წელია ვმუშაობ, დირექტორის გადმოსახედიდან შემიძლია ვთქვა, რომ არის პუნქტუალური, აქტიური, ყოველთვის მოწესრიგებული, საიმედო მასწავლებელი, თავისი საქმის უბადლო მცოდნე და მაქსიმალურად იხარჯება მოსწავლეებისათვის. იმდენად უყვარს მისი საქმე, ყველანაირად ცდილობს ისეთებსაც ასწავლოს, ვისაც საერთოდ არ უყვართ ფიზიკა, ვუსურვებ მას ჯანმრთელობას და მოუდლელობას!"

მედეა ხურცილავა, მესამე საჯარო სკოლის ფიზიკის პედაგოგი: "მინდა, სულით და გულით მივულოცო ეს იუბილე მზია მასწავლებელს, ვუსურვო ჯანის სიმრთელე, რომ ასე მხნედ და მედგრად იყოს და მრავალ წელს ემსახუროს საქმეს, რომელსაც ემსახურება ასე ღირსეულად აქამდე. არის არაჩვეულებრივი ქალბატონი, აკადემიური ცოდნის მატარებელი, მე მის ღია გაკვეთილებსაც დავსწრებივარ, როცა დამწყები პედაგოგი მერქვა, ფეხს ვიდგამდი და ვერკვეოდი, თუ რა მეკეთებინა სკოლაში. ბევრის მომცემი იყო ეს გაკვეთილები ჩემთვის, განუმეორებელი იყო მზია მასწავლებელი თავის დაჭერის მისეული მანერით, გაკვეთილის ჩატარების კულტურით და რა თქმა უნდა, ცოდნით. ის იყო და დღემდე რჩება ჩემთვის მისაბაძ მაგალითად. ის იყო ჩემი რეპეტიტორი, ერთ დღესაც, როცა ფიზიკის ამოცანები ძალიან სწრაფად და სწორად ამოვხსენი, მითხრა, ეკონომიურზე რატომ აბარებ, ფიზიკის ფაკულტეტზე ხომ არ ჩააბარებო? ის იმდენად დიდი ავტორიტეტი იყო ჩემთვის, მაშინვე გადავხედე ჩემს მომავალ გეგმებს, დავუჯერე მზია მასწავლებელს, ავირჩიე ფიზიკა და ნამდვილად არ ვნანობ!"

ხათუნა ფაილაძე, პირველი საჯარო სკოლის დირექტორი, ფიზიკის პედაგოგი:

"ქალბატონი მზია არის ფენომენალური ადამიანი და მოვლენა სრულიად სამყაროსთვის! პირადად მე მზია მასწავლებელმა მომწამლა ფიზიკით და დღეს თუ ფიზიკოსი ვარ და დავამთავრე ფიზიკის ფაკულტეტი, აბსოლუტურად მზია მასწავლებლის დამსახურებაა, ბრწყინვალე მასწავლებელია, არის უნიკალური ფიზიკოსი, ისეთი ღრმა ცოდნით, ბევრი ფიზიკოსი ერთად აღებული რომ არ იქნება საქართველოში, შესანიშნავი ადამიანია, რომელმაც იცის ურთიერთობა მოსწავლეებთან, უფროსებთან, უმცროსებთან. ადამიანია, რომელსაც შეუძლია შეაყვაროს ადამიანს ის საგანი, რომელიც თავადაც სიგიჟემდე უყვარს, ეს ძალიან იშვიათია, ვისაც კი ოდნავ შეხება აქვს მზიასთან, ყველას უყვარს ფიზიკა და ფიზიკა არ არის ის საგანი, ასე ადვილად რომ შეიძლება ადამიანმა შეიყვაროს! მზიას დამსახურებაა ის, რომ ხუთიანი მივიღე უნივერსიტეტში პირველ, ფიზიკის გამოცდაში, მზიამ მასწავლა ცხოვრება, ადამიანობა, ფიზიკა და ის, როგორი უნდა იყო ადამიანი, რომ უყვარდე გარესამყაროს და თუ ცოტათი მაინც მივემსგავსები მზია კირთაძეს, ვთვლი, რომ ვარ ძალიან ბედნიერი ადამიანი."

ეკა ჯამბურია, ნაბაკევის საჯარო სკოლის დირექტორი, მუსიკის პედაგოგი: "მეორე საჯარო სკოლა მაქვს დამთავრებული, მზია იყო ჩემი მასწავლებელი, არაჩვეულებრივი ფიზიკოსი, ძალიან რთული საგანი ძალიან რომ გიყვარს, ეს აუცილებლად მასწავლებლის დამსახურებაა. მეც მისაღებზე პირველი გამოცდა ფიზიკაში ჩავაბარე და ხუთიანი მივიღე, რაც მზია მასწავლებლის დამსახურებაა, დღემდე მიყვარს ფიზიკა და ვცდილობ, ეს საგანი ჩემს სკოლაში ყველას შევაყვარო, მადლობის მეტი რა მეთქმის მისადმი. ბედნიერია ის სკოლა, სადაც მზია მასწავლებელი მოღვაწეობს. მახსოვს, ჩვენს სკოლაში მხოლოდ მხიარულთა და საზრიანთა გუნდების შეჯიბრი იმართებოდა, სადაც მხოლოდ ფიზიკის საკითხები იხილებოდა. ისე აქტიურად ვიყავით ჩართულნი, მზია მაშინ ჩემს პარალელურ კლასს ასწავლიდა, ჩვენ კი, ქალბატონი მანონ გეფერიძე გვასწავლიდა, დიდი ცოდნა მოგვცა ამ ყოველწლიურმა "კაენემა", დღემდე მახსოვს. ჩვენს გუნდს ერქვა "ევრიკა". დღემდე შემიძლია მზია მასწავლებლის წყალობით, დავეხმარო ჩემს შვილებს ამ საგანში.

შესანიშნავ პროფესიონალს, მზია მასწავლებელს ჯანმრთელობას ვუსურვებ და წარმატებებს! ბედნიერებაა, რომ მისი სახით გვყავს შესანიშნავი პედაგოგი, ახალგაზრდებისათვის მისაბაძი."

ნინო ონიანი, მეთორმეტე სკოლის დირექტორი, ქიმიის პედაგოგი: " როცა დაინერგა ტრიმესტრული სწავლება და არ გაამართლა, მზია მასწავლებელი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ამის წინააღმდეგ საჯაროდ აიმაღლა ხმა! მინისტრ კახა ლომაიას წერილი გაუგზავნა, სადაც 26 მასწავლებელი, რა თქმა უნდა, ეს იყო ჩემთვის ამაღელვებელი გაკვეთილი, დიდი გამოწვევა და ამ გაკვეთილს ხარვეზებიც ახლდა თან. ერთ-ერთმა მასწავლებელმა გაკვეთილს რომ არჩევდა, კრიტიკული შენიშვნებით დაიწყო საუბარი, სიტყვა რომ დაასრულა, მას მზია მასწავლებელმა უთხრა: ჯერ ახალი დაწყებული აქვს მუშაობა, ახლავე თუ კრიტიკული შენიშვნებით დაიწყე, ასე ხომ სულ დაანებებს თავს მუშაობასო? ჯერ დადებითი უთხარიო, ახლაც ჩვენ ერთმანეთს ძალიან გულთბილად ვხვდებით, პედაგოგად ჩემს ჩამოყალიბებაში მას უდიდესი როლი მიუძღვის, ჩვენ ერთად ვდებულობდით მისაღებ გამოცდებს ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სწორედ მან გამიწია რეკომენდაცია ამ საპასუხისმგებლო საქმეში. ის არის ჩემი უსაყვარლესი პიროვნება, მას ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს, შემოგევლეთ, გენაცვალეთ, ას წელზე მეტი გეცოცხლოთ მზია მასწავლებელო!"

ნუგზარ ჯამბურია, ფიზიკოსი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე:

"მინდა სულით და გულით მივულოცო ქალბატონ მზიას ღირსეული იუბილე, ვუსურვებ მას ხანგრძლივ სიცოცხლეს, ის არის შესანიშნავი პედაგოგი და პიროვნება, შეუძლია გამოცდილების უშურველად გაცემა, წარმატებებს ვუსურვებ დიდი სიყვარულითა და პატივისცემით!"

საგანმანათლებლო რესურსცენტრის წამყვანი სპეციალისტი, ალექსანდრე თევზაძე: "კარგ პიროვნებას, შესანიშნავ პროფესიონალს, ქალბატონ მზიას ჯანმრთელობას ვუსურვებ და წარმატებებს, ის ნამდვილად მისაბაძი პედაგოგია, ბედნიერებაა, რომ ქალბატონი მზიას სახით ჩვენ გვყავს ასეთი უნივერსალური პედაგოგი, ახალგაზრდებისათვის მისაბაძი. ის ისეთ დარგს ემსახურება, რომელსაც მიმდევარი ცოტა ჰყავს ქვეყანაში, მადლობა მას თავდადებისათვის და წარმატებები მინდა ვუსურვო მომავალში!

ცისანა ლორია, საჯავახოს საჯარო სკოლის ფიზიკის პედაგოგი:

"გუშინდელივით მახსოვს, ფიზიკის მასწავლებელთა სექციაზე დასასწრებად მისულს მასწავლებელთა თავყრილობა და შეხვედრის დაწყებამდე ჩემთვის უცნობი გოგონასადმი დასმული შეკითხვები: "სად დაამთავრა? სად მუშაობდა და სად მუშაობს?" აღტაცებული დავრჩი მისი გარეგანი თუ შინაგანი მომხიბვლელობით, ის იყო ფიზიკის მასწავლებელი, ქალბატონი მზია კირთაძე, წლების შემდეგ ამ სექციის ხელმძღვანელი (სხვათა შორის, სექციური მეცადინეობა ყოველთვის ეხმარებოდა მასწავლებლებს აზრთა გაზიარებასა და ერთობლივ მუშაობაში). ქალბატონი მზია ყოველთვის იყო და არის მასწავლებლისათვის აუცილებელი ყველა თვისებით დაჯილდოვებული, ადამიანი, რომელიც მისი შინაგანი და გარეგანი მომხიბვლელობით ყოველთვის აჯადოებს დიდსა თუ პატარას. ბევრჯერ დავსწრებივარ მის გაკვეთილებს და აღტაცებული დავრჩენილვარ. ქალბატონ მზიას სიყვარულით და გულითადობით ვულოცავ ღირსეულ იუბილეს!"

დარეჯან კინწურაშვილი, მეორე საჯარო სკოლის სასწავლო ნაწილი:

"სკოლაზე, ბავშვებზე და თავის საგანზე უზომოდ შეყვარებულია ქალბატონი მზია კირთაძე, ის სკოლით არსებობს, შესაშური ენერგიით, უღალატოდ ემსახურება პედაგოგის პროფესიას, მეორე სკოლა ამაყობს იმით, რომ იგი ჩვენი სკოლის მასწავლებელია და ჩვენს გვერდითაა. ჩემო მზია, ჩვენ კარგად ვიცით, მასწავლებლობა არის ყველაზე ღირსეული და რთული გზა, თქვენ ეს გზა ამაყად და თავაწეულმა გამოიარეთ და კვლავ ივლით მრავალი წლის განმავლობაში ჩვენთან ერთად."

მთვარისა ფარეთმვილი, მეორე სკოლის ბუღალტერი:

"სიტყვა მასწავლებელი თუ ვინმეს შეესაბამება ყველა ასპექტით, ეს არის მზია მასწავლებელი, ჯანმრთელობას ვუსურვებ და დიდხანს ყოფილიყოს თავისი საქმის სადარაჯოზე!"

ინტელექტუალური ტურნირის პირველი ტურის გამარჯვებული მესამე სკოლაა

ნათია ნაცვლიშვილი

მეორე საჯარო სკოლის დარბაზში სტარტი აიღო ინტელექტუალურმა ჩემპიონატმა მუნიციპალიტეტის სკოლებს შორის. "რა? სად? როდის?" სასკოლო ლიგა ყოველწლიურად უფრო და უფრო მასშტაბური ხდება. იგი სამტრედიის ინტელექტკლუბის (პრეზიდენტი გიორგი ჩაჩუა) ორგანიზებით და მუნიციპალიტეტის მერისა და კულტურის სამსახურის მხარდაჭერით იმართება. ღონისძიების ტრადიციული წამყვანი, გიორგი ჩაჩუა ობიექტური მიზეზების გამო სამტრედიაში არ იმყოფებოდა, ამიტომ, წამყვანის მისია სამტრედიის ინტელექტკლუბის წევრმა გიგა ჩალიგავამ იკისრა და წარმატებითაც. პირველი ტურის კითხვების ავტორი ის და გიორგი ჩაჩუა არიან, მუნიციპალიტეტის 35 საჯარო სკოლიდან წლეულს ამ მნიშვნელოვან ინტელექტუალურ ჩემპიონატში რამდენიმე სკოლამ მიიღო მონაწილეობა, ზოგმა სკოლამ განსაკუთრებულად იაქტიურა და ორი გუნდი გამოიყვანა, განსაკუთრებით მისასალმებელია მეოთხე სკოლის აქტიურობა, უმცროსკლასელთა გუნდი ასაკით პატარა მონაწილეებით იყო დაკომპლექტებული. ასევე ორი გუნდით იყვნენ წარმოდგენილნი მესამე და მეთერთმეტე საჯარო სკოლები. სულ 16 გუნდი მონაწილეობდა.

ჟიურის შემადგენლობაში მყოფმა სამტრედიის ინტელექტკლუბის წევრმა, ლევან ცირეკიძემ, სასკოლო ლიგის მომზადებაში მხარდაჭერისათვის მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს, ვალერიანე ფოცხვერიას, კულტურის სამსახურის უფროსს, ნატალია მანჯგალაძეს და მასპინძელი სკოლის დირექტორს, თეა კარტოზიას. ვალერიანე ფოცხვერია მიესალმა შეკრებილთ, მადლობა გადაუხადა ღონისძიების ყველა ორგანიზატორსა და მხარდამჭერს. მოსწავლეებს აღუთქვა, რომ, თავის მხრივ, მომავალში გააძლიერებდა მხარდაჭერას ამ მეტად მნიშვნელოვანი ტურნირის მიმართ. მეორე ტური 10 მარტს გაიმართება, ამ ტურის კითხვების ავტორი ლევან ცირეკიძეა, მესამე ტურში მოსწავლეები მამუკა კიღურაძისა და გიორგი ცაგარეიშვილის მიერ მომზადებულ შეკითხვებს "მოიგერიებენ", მეოთხე ტურის კითხვების ავტორები ლაშა ორმოცაძე და ლაშა ლორია არიან.

12 თებერვალს (ძველი სტილით: 30 იანვარს) მართლმადიდებელი ეკლესია წმინდანთა შორის მამათა ჩვენთა, დიდთა მღვდელმთავართა: ბასილი დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველისა და იოანე ოქროპირის ხსენების დღეს აღნიშნავს.

2018 წლის 12 თებერვალს ხიბლარის წმ. ბასილი დიდის, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველისა და წმ. იოანე ოქროპირის სახელობის ტაძარში (წინამძღვარი _ მღვდელი შიო (ჭაფოძე) გახსნის დღიდან მე-3 წლისთავის საზეიმოდ ხონისა და სამტრედიის მიტროპოლიტმა, მაღალყოვლადუსამღვდელოესმა საბამ საღმრთო ლიტურგია აღავლინა, რომელსაც ესწრებოდა ტაძრის მშენებლობის დამფინანსებელი გიორგი ხაჟალია.

"სამტრედიის მაცნე"

დაძაბული პირველი ტურის შემდეგ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: პირველი ადგილი მესამე სკოლის გუნდს "იპრიტი" ერგო, (კაპიტანი ავთანდილ უჯმაჯურიძე), გუნდმა 23 ქულა მოიპოვა, მეორე ადგილზე მე-11 სკოლის გუნდი "ინტეგრალი" გავიდა 17 ქულით, ხოლო მესამეზე, პირველი სკოლის გუნდი "Utah jazz" 15 ქულით.

"მივესალმები "სასკოლო ლიგის" ყველა მონაწილე გუნდს და ვუსურვებ წარმატებებს, სიამოვნებით ვუმასპინძლეთ ნიჭიერ ახალგაზრდებს, ყოველთვის მხარს დავუჭერთ ამ ჩემპიონატს და სიამოვნებით ვუმასპინძლებთ გუნდებს მომავალშიც!"_ გვითხრა მასპინძელი სკოლის დირექტორმა, თეა კარტოზიამ.

განსხვავებული გარემო განსხვავებული კლინიკისგან

თეა ბაბუნაშვილი

სასიამოვნო ინტერიერი და გარემო გახსნის დღიდან თან დაჰყვა სამედიცინო კლინიკა "მედიჰელფს", უკვე ერთი წელია რომ ზრუნავს სამტრედიელებისა და არა მხოლოდ სამტრედიელების ჯანმრთელობაზე. ჩვენ მეზობელი ქალაქებიდან არაერთგზის ჩამოსულან პაციენტები და მკურნალობის შემდეგ მადლიერებს დაუტოვებიათ კლინიკა.

იმ დღეს განსაკუთრებული ელფერი განსაკუთრებული მოვლენის აღსანიშნავად დაჰკრავდა. კლინიკამ ჩვენს პატარა იმერულ ქალაქში მოღვაწეობის ერთი წლისთავი აღნიშნა. სტუმრად სამედიცინო და სხვა სფეროს წარმომადგენლები მიიწვიეს. ბუნებრივია, მადლიერი პაციენტებიც იქ იყვნენ საკუთარი კმაყოფილების გამოსახატავად.

მოსაწვევიდან გავიგეთ ბევრ სიურპრიზს რომ გვპირდებოდა ღონისძიება, ანა აბზიანიძის მიერ მუსიკალურად გაფორმებული და ბექა თევზაძის სიმღერით დამტკბარი. მათ საბა ჩაჩუამაც შეუწყო ხმა, მომავალმა ექიმმა, რომელსაც ღონისძიების წაყვანის პატივი ხვდა წილად.

სამედიცინო ბაზარზე 2005 წლიდან დაფუძნებული კლინიკა "მედიჰელფი" თავდაპირველად 10 თანამშრომლით გახლდათ დაკომპლექტებული. დღეს კი მისი ორივე ფილიალი 100 თანამშრომელს აერთიანებს. კლინიკაში ფუნქციონირებს ამბულატორიული, სტომატოლოგიური და დღის სტაციონარული განყოფილებები. მას ხელშეკრულება არაერთ სადაზღვევო კომპანიასთან აქვს დადებული და პაციენტებს ამ კუთხითაც შეუძლიათ კლინიკაში შეღავათებით ისარგებლონ. "მედიჰელფს" განხორციელებული აქვს არაერთი სოლიდური პროექტი. მათ შორის ის, რომ რკინიგზელების ქალაქში იგი უსასყიდლოდ უწევს კონსულტაციებს ყველა რკინიგზელს.

განსაკუთრებული მიღწევები სამტრედიის ფილიალს თვალის დაავადებათა მკურნალობის კუთხით აქვს. აღსანიშნავია, რომ პირველადი გასინჯვა პენსიონერებს თვალის დაავადებებზე უფასოდ უტარდებათ. თვალზე ოპერაციებს კი, საუკეთესო შედეგებით ატარებს თბილისიდან მოწვეული ქირურგი, მიხეილ კურტანიძე.

კლინიკასთან თანამშრომლობენ როგორც ადგილობრივი, ისე დედაქალაქიდან მოწვეული სპეციალისტები. პროფესიონალიზმი ამ კლინიკის მთავარი ნიშაა. "სტომატოლოგიური, გინეკოლოგიური და კოსმეტოლოგიური მიმართულებები ახლახან დავამატეთ ძირითად სერვისს. სამტრედიელი და არა მხოლოდ სამტრედიელი პაციენტების სითბო და მადლიერება ძალიან დიდი საჩუქარია ჩვენთვის." _ ამბობს "მედიჰელფის" სამედიცინო დირექტორი ქეთევან ჯაფარიძე. მან ხაზი გაუსვა: "რომ არა უძლიერესი ადგილობრივი ექიმების მიერ მიღწეული შედეგები, მათი გვერდში დგომა და მასპინძლობა, შეუძლებელი იქნებოდა, სამტრედიაში ერთ წელიწადში ამხელა წარმატება და ამდენი მადლიერი პაციენტი". ამიტომ, გულისხმიერებისა და პროფესიონალიზმის გარდა, სხვადასხვა ნომინაციებში დაჯილდოვდნენ: ნეიროქირურგი თამაზ სპირანტი როგორც ყველაზე მოთხოვნადი, კარდიოლოგი ნანა ცირეკიძე კი ყველაზე გულისხმიერი ექიმი. ყველაზე კომუნიკაბელური მკურნალი სოფიო თოდუა გახდა, ყველაზე ამტანი, თამარ კაპატაძე. ყველაზე საყვარელი ექიმის ტიტული ლაშა უჩავას, ვირტუოზისა კი, მიშა კურტანიძეს ხვდა წილად. ყველაზე ენერგიულ ექიმად მარინა შვანგირაძე დასახელდა.

პაციენტებს კონსულტაციებს უწევს ექიმი ენდოკრინოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ლაშა უჩავა. და ამ წერილის ავტორის ჩათვლით, სანამ არაერთი სამტრედიელი მისი პაციენტი გახდება, ლაშა უჩავასგან ერთი მოკლე რჩევა უნდა გადმოგცეთ: "წონაში უნდა დაიკლოთ არა იმიტომ, რომ გუჩი და შანელი ატაროთ, არამედ იმიტომ, რომ ჯანმრთელები იყოთ!"

გაჭრილი ტორტის და სასიამოვნო მელოდიების ფონზე ევროპული სტანდარტების კლინიკისგან ერთი წლის ანგარიში გამორჩეულად ჩაიბარეს სამტრედიელებმა. იმედია, სამომავლოდაც ექნებათ შესაძლებლობა, ასეთი წარმატებებით წარუდგნენ საზოგადოებას.

აღესრულა ბატონი ბენია თხილავა...

ქეთევან ჭელიძე

სულ რამდენიმე თვე იუბილედან გარდაცვალებამდე...

იდგა სცენაზე ბედნიერი, ღიმილიანი და მადლიერებით სავსე. 80 წლის შესრულებას ულოცავდნენ ბატონ ბენია თხილავას.

თქვა, ანგარიში ჩავაბარეო მშობელ ხალხს!

იმსახურებდა, ასეთი საღამო გამართულიყოო...

თითქოსდა, ამ დღეს უცდიდა მის სხეულში ჩაბუდებული სენი.

"ეს საიუბილეო საღამო, მგონი, უკანასკნელი აღმოჩნდა ჩემთვის." _ გაბზარული ხმა ტელეფონში...

კიდევ ერთი დიდი კაცი მოუკვდა საქართველოს: სახელოვანი მამულიშვილი, ქვეყნის მოყვარე, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, საქართველოს აგრარულ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკოლოგიურად სუფთა და გენმოდიფიცირებული კვების პროდუქტების წარმოებაზე მონიტორინგისა და მეცნიერული კვლევის ეროვნული ცენტრის გამგეობის წევრი, საქართველოს მწერალთა და შემოქმედებითი კავშირის წევრი, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მრჩეველთა საბჭოს წევრი, ასევე ერთ-ერთი დამფუძნებელი და პრეზიდენტი მეცნიერ-სპეციალისტთა და ჟურნალისტთა სამეცნიერო კავშირ "ინტელექტის". დამფუძნებელი და რედაქტორი საზოგადოებრივი საბჭოს გაზეთისა "ღირსება", ავტორი სახელმძღვანელოების ტექნიკური სპეციალობის სტუდენტებისთვის და 400-ზე მეტი პუბლიცისტურ-ანალიტიკური და შემეცნებითი სტატიის. მან ერთ-ერთმა პირველმა დააფუძნა საქართველოში საზოგადოებრივი სატელევიზიო კლუბი და 800-ზე მეტი სატელევიზიო გადაცემა წაიყვანა, როგორც ავტორმა. ერთ-ერთი დამფუძნებელი და პრეზიდენტია იპოლიტე ხვიჩიას ეროვნული აკადემიის და რედაქტორი ამავე აკადემიის ორგანოს, გაზეთ "იპოლიტესი". ბატონ ბენიას ეკუთვნის მრავალი მოთხრობა, ნოველა, ფელეტონი, პამფლეტი, იუმორი; ავტორია პოეტური კრებულების, გატაცებული იყო თეატრით და ათამდე როლიც განასახიერა სცენაზე. ბატონი ბენია საპატიო ქუთაისელის წოდებასაც ატარებდა და კიდევ მრავალი სხვა რამ უკავშირდება მის სახელს.

... აღესრულა ბატონი ბენია თხილავა და ეტკინა სამტრედიას, ღანირს, სადაც ყოველთვის მასპინძლობდა თავისი ბავშვობა. წავიდა და თან გაიყოლა ერთგული მეუღლის, შვილების, შვილიშვილების, მეგობრების, კოლეგების, ახლობლების ცრემლი და სიყვარული. თავადაც დიდ სიყვარულს გასცემდა მხოლოდ.

საიუბილეო საღამოს მსგავსად სამგლოვიარო მიტინგსაც პოეტი ირმა ქურასბედიანი უძღვებოდა. ოღონდ ამჯერად დარდიანი და თვალში ცრემლჩამდგარი. ბატონი ბენია თხილავას, როგორც ღირსეული პიროვნების, მოქალაქის, საზოგადო მოღვაწის, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოვებული მეცნიერის მიმართ თბილ სიტყვებს არ იშურებდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ადამიანები. აღნიშნეს, რომ მაგალითად დარჩება იგი თავისი ცხოვრების წესით ახალგაზრდებისთვის, რომ ძალიან დააკლდება ქუთაისს, რომ სიცოცხლეშივე დაიდგა ძეგლი... ბევრი ითქვა და კიდევ ბევრს იტყვიან მასზე. უკანასკნელ გზაზე მიმავალს ტკივილით სავსე ლექსი მიადევნა ქალბატონმა ირმამ, მერე კი, როგორც არასდროს ისე მძაფრად აჟღერდა ბატონი ბენიას მიერ საყვარელ ქალაქზე დაწერილი პოეტური სტრიქონები:

"არ არის შანსი, თუნდ, ერთი ციდა,
მე ქუთაისთან რამემ გამყაროს,
დამწვარი გულის ფერფლი ზეციდან
ჩემს ქალაქს უნდა გადმოვაყარო".

ტაშით გააცილეს ამაგდარი.

სამტრედიელებიც სინანულით, სიყვარულით ვემშვიდობებით ბატონ ბენია თხილავას, ჩვენი გაზეთის, "სამტრედიის მაცნეს", ერთგულ მეგობარს, ღირსეულ მამულიშვილს და მთელ საქართველოსთან ერთად ვიზიარებთ მისი გარდაცვალებით გამოწვეულ მწუხარებას.

ფოტო ისტორიას ჰყვება

რადიოს საერთაშორისო დღე აღინიშნა ამ დღეებში.

უკვე ისტორიის კუთვნილებაა ის დრო, როცა ე.წ. საჰაერო _ ხაზის რადიო ყველა ოჯახის "სასურველი სტუმარი" იყო.

ალიონიდან შუაღამემდე ნაცნობი ხმით ჰყვებოდნენ საქართველოს რადიოს დიქტორები ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ამბებზე.

25 სექტემბერი 1980 წელი. ასე დაუთარიღებია ერთი სურათი ჩვენი გაზეთის ფოტო კორესპონდენტს ბატონ რომან ბექაიას, რომელზედაც საქართველოს რადიოს დიქტორების ლევან ყავლაშვილის, ქეთო ლანდიასა და მერი მიქელაძის სამტრედიაში სტუმრობაა აღბეჭდილი.

ლევან გაბეჩავა

ბეჭან ბალანჩივაძის გახსენება

სულით ხორცამდე შემზარავი იყო 1983 წელი, ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე, მოყვასის თანამდგომი ჭაბუკის, 22 წლის ბეჭან ბალანჩივაძის ტრაგიკული აღსასრული ავტოავარიის შედეგად. ამ ენით აღუწერელმა სატკივარმა შეძრა ადამიანთა გულები.

განუზომელი იყო პატიოსანი და შრომისმოყვარე მშობლების, ზურაბ და ინეზა (ცუცა) ბალანჩივაძეების, ტკივილი და მწუხარება. დამწუხრებული იყო და ვერიკო. აღუწერელი იყო მათი გლოვა. ამ ამბავს განიცდიდა მთელი საახლობლო და სამეგობრო. ტრაგიკულად დაიღუპა ოჯახის ერთადერთი ძე სამწუხაროდ, ტკივილი და მონატრება დარჩა.

დღეს ამ სტუმართმოყვარე ოჯახში ცხოვრობს ადრეულ ასაკში გარდაცვლილი ბეჭანის დედა ცუცა, და ვერიკო თავის მეუღლე ოლეგ კაპანაძესთან ერთად. ოჯახისათვის იმედის მომცემია შვილები და შვილიშვილები. შთამომავლობა დიდი სიყვარულით უფრთხილდება ბეჭანისა და ოჯახის აწ განსვენებული ბაბუის, ზურაბ ბალანჩივაძის, ხსოვნას.

ღმერთმა აცხონოს მათი სულები!

მალხაზ გრიგოლია

კაცური კაცის პორტრეტისათვის

გარდაცვალება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მიწა მივაყაროთ, დავივიწყოთ ადამიან(ებ)ი, ჩვენს გვერდით, მხარდამხარ რომ იღვწოდნენ და სიკეთეს თესავდნენ, ბოლომდე იხარჯებოდნენ მინდობილი საქმის ჰირნათლად შესრულებისათვის.

წარდგენა არ სჭირდება მკითხველთა წინაშე ჭადრაკში ეროვნულ ოსტატს, ბატონ მერაბ არჩვაძეს. ჯერ კიდევ წინასაახალწლოდ გამოხატა სურვილი ბატონმა მერაბმა, რომ გაზეთის მეშვეობით გაგვეხსენებია ღირსეული ქართველი, ტექნიკური ინტელიგენციის შესანიშნავი წარმომადგენელი, ბატონი შოთა სამსონის ძე ქაჯაია, რომელთანაც ახლო, სამსახურებრივი ურთიერთობა აკავშირდება ჩაი-მექანიკურ ქარხანაში მუშაობის წლებში.

"საქმის ჩინებული მცოდნე, ნიჭიერი ორგანიზატორი, დახვეწილი იუმორის მქონე კაცური კაცი სამტრედიის ერთ-ერთი თავკაცი (რაიკომის მეორე მდივანი) იყო." _ გვითხრა ბატონმა მერაბმა და კეთილი სიტყვები არ დაიშურა ღირსეული ოჯახის ღირსეული წინამძღოლის, ბატონი შოთა ქაჯაიას, მისამართით. დასანანია, რომ ამქვეყნად აღარაა ბატონი შოთა.

მადლობას ვუხდით ბატონ მერაბს კიდევ ერთი ღირსეული სამტრედიელის მოგონებისათვის და საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, ბატონ ზურაბ ფარეიშვილს, რომლის წერილსაც ქვემოთ ვბეჭდავთ.

ლევან გაბეჩავა

შოთა სამსონის ძე ქაჯაია

თითოეული კარგად განვლილი წელი, და მით უმეტეს ღირსეულ ადამიანებთან ურთიერთობა, შინაგანად გიბიძგებს, დაუბრუნდე წარსულ მოვლენებს, საიდანაც იწყება იმ მოგონებათა ღირსშესანიშნავი დღეები, რომლებმაც გასული ათეული წლების წინ ხორცი შეასხა ქართული ჩაის აღორძინების საქმეს.

სწორედ ასეთი მოვლენების ეპიცენტრში სხვა ღირსეულ თანამემამულეთა შორის, როგორც გამორჩეული ნათელი წერტილი, იდგა რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი შოთა სამსონის ძე ქაჯაია. კაცი, რომელიც რამდენიმე ათეული წელი პირნათლად ემსახურებოდა ქართული ჩაის აღორძინებას მისი სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობით. განსაკუთრებით კი მისი ღვაწლი, საინჟინრო ინტელექტი და საახლოესკენ ხედვა გამოიკვეთა "საქართველოს ჩაის" სახელმწიფო კომიტეტში მმართველის მოადგილედ, მავანი ინჟინრად მუშაობის დროს.

მადლიერების გრძნობით უნდა აღინიშნოს ბატონ შოთა სამსონის ძე ქაჯაიას დიდი დამსახურება და ღვაწლი საქართველოს ჩაის სისტემაში მისი მოღვაწეობის პერიოდში, რომელიც მოიცავდა ჩაის წარმოების, სამეცნიერო პოტენციალის, ტექნო-ეკონომიკური გადაწყვეტისა და ამაღლების, მაშინდელ მკაცრ მოთხოვნათა საფუძველზე გზებისა და საშუალებების ძიებას. რომელიც დღეს ქართული ჩაის წარსულის განვითარების მოვლენად და ქრესტომატიულ საკუთრებად იქცა.

ასეთი მასშტაბური ხასიათის სამუშაოები შეუძლებელი იყო ღრმა მეცნიერული დასაბუთებისა და თანამედროვე საინჟინრო აზროვნების გარეშე, რასაც, ძირითადად, საქართველოს ჩაის მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი ასრულებდა, რომლის უცვლელი და სულისჩამდგმელი ხელმძღვანელი შოთა სამსონის ძე ქაჯაია იყო.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს ჩაის მწარმოებელი ქვეყნებიდან საქართველოში პირველად დაინერგა ქართველ მეცნიერთა და გამომგონებელთა მიერ შექმნილი ჩაის ფოთლის დნობისა და ფიქსაციის უწყვეტი ქმედების აგრეგატები, რომლებიც სახელმწიფო პრემიით აღინიშნა. წარმატებით ჩატარდა ჩაის მრეწველობის პირველადი გადამუშავების ფაბრიკების ტექნიკური გადაიარაღება, სადაც მოხდა ფაბრიკების მთლიანი დაკომპლექტება ჩაის ფოთლის გრეხისა და ჭრის უწყვეტი ქმედების ნაკადური ხაზებით, დამუშავდა და დაინერგა ჩაის ნახევარფაბრიკატის უწყვეტი ქმედების აგრეგატი _ დამხარისხებელი მანქანა "კომბაინი", რომელსაც უშუალოდ სამტრედიის ექსპერიმენტული მექანიკური ქარხანა ამზადებდა და ყოველივე ამას სათავეში შოთა სამსონის ძე ქაჯაია ხელმძღვანელობდა. მისი შრომა დაფასდა იმით, რომ მას მიენიჭა საქართველოს დამსახურებული ინჟინრის წოდება.

ბატონი შოთა სამსონის ძე ქაჯაია ითვლებოდა და ღირსეულად დარჩა ქართული ჩაის მრეწველობის ერთ-ერთ თვალსაჩინო მოღვაწედ, რომელმაც სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ქართული ჩაის ისტორიაში.

ზურაბ ფარეიშვილი
ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი საქართველოს კვების ეროვნულის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ლევან გაბეჩავა და ბიჭიკო მეგრელიშვილი თანაუგრძნობენ ავთო ზამთარაძეს დედის, ქალბატონი

თალიკო ზამთარაძის

გარდაცვალების გამო.

მოედანი ევროსტანდარტების შესაბამისად

ჭავჭავაძის ქუჩის №3 საცხოვრებელი კორპუსის გვერდით მდებარე საკალათბურთო მოედნის რეაბილიტაცია დაიწყო.

სპორტული ობიექტი, დაახლოებით, 2 ათეულ წელზე მეტია, რაც ფუნქციონირებს, თუმცა სპეციალისტები საკალათბურთო მოედანს სტანდარტებს თავიდანვე უწუნებდნენ.

ოთარ თევზაძე, სამტრედიის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის სპეციალისტი: "ნაცვლად 15-28-ისა, მოედნის სივრცე 14-25-ზე იყო გაშლილი. დაბალი ღობე მწყობრიდან იყო გამოსული, ალაგ-ალაგ ხის მასალით გამაგრებული, რაც არაესთეტიურ სანახაობას ჰქმნიდა. რკინის კონსტრუქციები საჭიროებდა აღდგენას".

ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე საკალათბურთო მოედანზე სამუშაოებს, 2 კვირაზე მეტია, ტენდერში გამარჯვებული კომპანია "გია და კომპანია" ასრულებს, რომლის საერთო ღირებულება 44 000 ლარს შეადგენს. სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

ოთარ თევზაძე, მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის სპეციალისტი: "გია და კომპანია" ერთ-ერთი საუკეთესო სამშენებლო კომპანიაა. ის ხშირად იმარჯვებს ტენდერში და ჩვენ ამას მივესალმებით, რადგან ის ყოველთვის დროულად და ხარისხიანად ასრულებს დაკვეთებს".

13 თებერვლის მდგომარეობით შემოღობვა დასრულებულია. დარჩენილია ხის დასაჯდომების მოწყობა, განათების ახალი ფარების დაყენება, ბეტონის საფარის დაგება, რომლის შემდეგ დაიხაზება მოედანი ნორმებისა და წესების შესაბამისად.

მშენებლები ვარაუდობენ, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიას დასრულებულ ობიექტს თებერვალში ჩააბარებენ.

ნინო ნანიტაშვილი

უახლოესი მეგობრები 80 წლის იუბილეს ულოცავენ კაცურკაცს, ღვაწლმოსილ პიროვნებას, **ომარ მებუკეს**, უსურვებენ ჯანმრთელობასა და ულევ სიხარულს!

ფოტო განწყობისთვის

სამტრედიელი გოგონები არ ხუმრობენ

2019 წლის 8-9 თებერვალს ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი კიოკუშინკაი კარატეში. მასში სხვა ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობას ღებულობდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტსკოლის კარატისტები (დირექტორი ივანე კილტავა, მწვრთნელი სენსეი მიხეილ ქანთარია).

ქალებში აბსოლუტურ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა თამარ ბიბილეიშვილმა.

გოგონათა შორის წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილი და ჩემპიონის წოდება მოიპოვა მანანა მუქერიამ. მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა მარიამ გოგიტაურმა.

ვუსურვებთ სამტრედიელ კარატისტ გოგონებს წარმატებებს მომავალში!

"სამტრედიის მაცნე"

3 სამტრედიელი ფალავანი ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონია!

2019 წლის 9-10 თებერვალს, ბულგარეთის ქალაქ ბლაგოევგრადში გაიმართა პეტკო სირაკოვისა და ივან ილიევის სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალი სტილით ჭიდაობაში 23 წლამდე სპორტსმენტთა შორის. ტურნირში მონაწილეობას ღებულობდნენ ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბ "ფალავანის" (დირექტორი ირაკლი მელაშვილი) მოჭიდავეები ედემი ბოლქვაძე (65 კილოგრამი წონითი კატეგორია, მწვრთნელები: ბიძინა მელაშვილი, ზაზა არქანია), ივერი ჯულაყიძე (70 კილოგრამი წონითი კატეგორია, მწვრთნელები ვეფხია და ლაშა სტურუები) და დემურ მეგენეიშვილი (92 კილოგრამი წონითი კატეგორია, მწვრთნელები ვეფხია და ლაშა სტურუები). სამივე სპორტსმენმა განსაკუთრებულად გაახარა სამტრედიელი ჭიდაობის გულშემატკივრები. სამივე ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა!

აღნიშნულ ტურნირში 26 ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები ღებულობდნენ მონაწილეობას, თითოეულმა სამტრედიელმა მონაწილემ 4-4 შეხვედრა მოიგო და პირველობაც არავის დაუთმო. ეს ტურნირი შეიძლება განვიხილოთ, როგორც სამზადისი ევროპის ჩემპიონატის წინ, რომელიც მარტის შუა რიცხვებში სერბეთში გაიმართება. ვულოცავთ სამტრედიის საჭიდაო კლუბ "ფალავანს" და მის დირექტორს, ირაკლი მელაშვილს, ჩვენს წარმატებულ სპორტსმენებს და მათ მწვრთნელებს ამ ტიტულოვან გამარჯვებას და ვუსურვებთ, ამ ევროპის ჩემპიონატიდანაც ასევთივე ტრიუმფალური შედეგით დაბრუნებას!

ნათია ნაცვლიშვილი

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამტრედიის

დირექტორი	ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი	ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი	თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი	ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული გრაფიკა	მაკა პაპავა